ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 1 თებერვალი, 2013 №26 (6027) ფასი: 30 თეთრი

1 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
აკაკი წერეთელი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

მორიგი სკანდალი ქართულ სპორტში — კურტანიძეს ბრალად ფიზიკურ შეურაცხყოფას სდებენ

გვ.9

ლევან გაჩეჩილაძის შვილი სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

„ქართველთა ოცნება არ არის ნაპრეზიდენტალის ძალად პრეზიდენტობა“

გვ. 4

კონსტიტუციაში საგარეო კურსი არ უნდა დაფიქსირდეს

გვ.5

სააკაშვილი ივანიშვილზე მდიდარია!

გვ. 3

პრეზიდენტს უფლებები უნდა შეეზღუდოს!

გვ.6

ალეკო შალამბერიძე: „ივანიშვილი ამერიკის დაკრულზე ცეკვავს“

გვ. 4

გვ.5

„იმერეთის გუბერნატორი და ქუთაისის მერი საქმეს დაიწუნა“

ვინ მოუვლის ნაგავსაყრელებს?

გვ.5

სტრასბურგული ცრემლები ანუ ღრმად ისუნთქეთ, თქვენ აღელვებული ხართ

გვ.6

23 იანვრიდან!
„ახალი თაობა“
+
მარია კიური
8 ლარი



3 ყვითელი მიკროავტობუსი დააყადაღეს

2 თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნატოს შტაბბინაში შეხვედრები გამართა

3 დავით კირკიტაძე საპროტესტო აქციებით იმუქრება

2 ღარიბაშვილი ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელმძღვანელობას შეხვდა

თემურ შაშიაშვილი: „6 თებერვალს სააკაშვილის წინააღმდეგ ბარიკადებს აღვმართავთ“

პუტინის დაძახებაზე ნაციონალები მოსკოვში ფეხით ჩავლენ

შორენა კოწოწაშვილი

ინტერვიუ პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან

– ბატონო თემურ, ფაქტია, ცნობილი 100 დღის მიწურულს, სულ უფრო მეტი კრიტიკა ისმის ახალი ხელისუფლების მისამართით. თქვენ რა უარყოფით ტენდენციებს გამოყოფდით?

– ბევრი რამ, რის გამოც ახალ ხელისუფლებას აკრიტიკებენ, ჩემთვის გაუგებარია. ბევრი პარტია ჩასაფრებულია და დღეს ცდილობს, რომ ასპარეზზე ახალი ხელისუფლების კრიტიკით გამოვიდეს. მე ახალ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, მაგრამ ერთ ჭრილში. ეს ეხება იმას, რომ ის ვერ ახერხებს, დაასრულოს ძველი ხელისუფლება, ისე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიმსახურა. ის კეთილგანწყობა, რომელიც უცხოელი მრჩევლების თუ უცხოელთა ზეწოლის გამო ყალიბდება ახალ ხელისუფლებაში წინა ხელისუფლების მიმართ, ეს საქართველოსთვის დამანგრეველია. არ შეიძლება, რომ უსმენდე ხან ვის და ხან ვის, ესენი ძირითადში უცხოელები არიან, და არ ხედავდე, რა ხდება საქართველოში და რა მდგომარეობაა ხალხში. ხალხი გმინავს გაჭირვებისაგან. ძველმა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს გენოციდი მოუწყო, მისი ყველა ასპექტით, არაერთი მიმართულებით – ქართული ცნობიერების დანგრევით დაწყებული, დამთავრებული იმით, რომ საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტს არ აქვს საშუალება მიიღოს სიცოცხლისათვის საჭირო კალორიების ნახევარზე მეტი. ამ დროს მიხეილ სააკაშვილის დედას 1 ლარად 100-ზე მეტი ობიექტი აქვს შეძენილი. როდესაც ასეთ სურათს ხედავ; როდესაც ხედავ იმას, რომ პრემიერ-მინისტრმა არჩევნებში დამარცხების შემდგომ პრემია 8 500 ლარი გამოიწერა და ამ დროს პენსიონერს პურის ფული არ აქვს, ერთხელ არ გასჩენიათ აზრი, რომ უარი ეთქვათ პრემიებზე ან მინისტრებს ან დეპუტატებს, რომელთა პრემიაც 3 000 ლარზე ნაკლები არ ყოფილა. არადა, ბიუჯეტს სწორედ პენსიონერები ავსებენ, მათ მიერ გადახდილი გადასახადებით. ვურჩევდი ხელისუფლებას – ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს: კეთილი ადამიანების როლს ნუ თამაშობთ იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც საქართველო გააანადგურა. როგორ ფიქრობთ, ის, რაც ტრანსპორტში გამოვლინდა, ან რასაც ვხედავთ ბანკებში და ეკონომიკაში, ის ხელისუფლება რომ დარჩენილიყო, ხალხი თვითონ დაამთავრებდა. ეს ბიძინა ივანიშვილმა უნდა იცოდეს. მაგრამ ხალხი ენდო ივანიშვილს, რათა დასარულოს სააკაშვილის ხელისუფლება, როგორც მან დაიმსახურა. მე ხომ არ ვამბობ, რა დაიმსახურა. ყველა ის პარტია, რომელიც დღეს ლაპარაკობს იმ ჭრილიდან, რომ ივანიშვილის გუნდი პროგრამას არ ასრულებს, არასწორად იქცევა. ხმამაღლა ვამბობ, ქართული ოცნების პროგრამა არის საქართველოს მომავლის პროგრამა. მაგრამ იგი ვერ შესრულდება, მანამ ნაციონალური მოძრაობა ასე პარპაშობს. დღეს საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც დაუპირისპირდა ხალხის არჩევანს ამ არჩევნებზე. არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს არ ჰყავს უფრო დიდი მტერი, ვიდრე სააკაშვილია. მისი გამოსვლა სტრასბურგში, მისი გამოსვლა ჩახალიანთან დაკავშირებით, მე არ ვიცი, ვინ არის ის, მაგრამ, სააკაშვილის ტონი რომ მიუღებელია, ეს ფაქტია. სააკაშვილი რაგატკით დადის და რეგიონებში ცდილობს საზოგადოებაში დაპირისპირება გამოიწვიოს. ეს არის მტერი და ვიმეორებ, მტერს რომ ეპყრობი კეთილად, შენ თვითონ მტრობ შენს ქვეყანას. გაგახსენებთ, ბელგიაში თქვა სააკაშვილმა: საქართველო ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა ყოფილ საბჭოთა კავშირშიო

და ამით საქართველოს შეურაცხყოფა მიაყენა. საქართველო პირველი ნომერი იყო საბჭოთა კავშირში და პრეზიდენტმა იცრუა. დღეს ქვეყნის ორ უდიდეს ფიგურას – უწმინდესს და პრემიერ-მინისტრს ჰქონდათ უსერიოზულესი შეხვედრები. უწმინდესი წავიდა ურთულეს შეხვედრაზე მოსკოვში, პრემიერ-მინისტრი კი წავიდა დავოსში, მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორც კი სააკაშვილმა იგრძნო, რომ პატრიარქი და ივანიშვილი უმნიშვნელოვანეს შეხვედრებზე არიან და ის არ მიიწვიეს არც დავოსში, არც სხვაგან, არც პუტინმა მიიწვია, თორემ ფეხით ჩავიდოდა მოსკოვში. არ მიიწვიეს ამერიკაში ინაუგურაციაზე, ხოლო საქართველოში ეუბნებიან – წადი, აღარ ხარ პრეზიდენტიო. საკაშვილი წავიდა ევროსაბჭოს ასამბლეაზე და ამით ასამბლეამ თავის თავს თვითონ მიაყენა შეურაცხყოფა. კაცი. რომელსაც 20 იანვარს საპრეზიდენტო ვადა ამოწურა და ასამბლეამ 21 იანვარს მიიწვია იმიტომ, რომ საკაშვილს უნდოდა სადღაც, საერთაშორისო არენაზე, საერთაშორისო ტრიბუნიდან ეთქვა, რომ ის ისევ პრეზიდენტია.

– ბევრი საუბრობს იმაზე, რომ პრეზიდენტს ევროსაბჭოში ქვეყნისთვის საკმაოდ მტრული გამოსვლა ჰქონდა.

– გეთანხმებით, ასეთი მზაკვრული გამოსვლა, ასეთი ლანძღვა პრემიერის დაუშვებელია, აქ ჩამოსულმა მერე კი თქვა: ეს დროებითი მთავრობაო. აქ ჩამოსულმა ჩახალიანს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა. ახლა აზერბაიჯანს ეთამაშება. ეს ის კაცია, რომელიც პირადი ინტერესების გამო ყველას და ყველაფერს გაწირავს. ეს არის საქართველოს უბედურება. დღეს ყველანაირი საუბარი პრორუსულ, პროამერიკულ თუ პროთუქრულ ხელისუფლებაზე, ანუ ყველანაირი პრო, ეს არის საქართველოს უბედურება. ეს იმაზე უარესს ნიშნავს, ვიდრე ამ ,,პროს“ ორი ასო რომ მიამატო. ამიტომ ვამბობ, საქართველოს დღეს ხელისუფლებას სჭირდება გულდამწვარი ქართველები. გულდამწვარი ქართველი სომეხის მიმართაც კეთილად იქნება, აზერბაიჯანელისაც და ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენლის მიმართაც. ჩვენი ქვეყნის უბედურება არის ის, რომელსაც ჰქვია ან პრორუსი, ან პროამერიკელი. ქართველი ხალხის ვერ მიხვდა, რომ ,,პრო“ არ უნდა აირჩიოს. შევარდნაძეს 70%-ით მართავდნენ გარედან, სააკაშვილს – 110%-ით. როგორ გგონიათ, დღეს ბიძინა ივანიშვილის კოალიციის პარტიები არ იმართებიან გარედან, ან ივანიშვილი ქედს არ უხრის უცხოურ ორგანიზაციებს? გადახედეთ, თანამდებობებზე ის ხალხი ინიშნება, ვინც ქვეყნის გარეთ მიიღო განათლება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ვინც საქართველო არ მიატოვა ამ გაჭირვების წლებში, ეს ხალხი დღეს აღარავის სჭირდება, მათი განათლების მიუხედავად. ეს რა უბედურებაა?!

– ბატონო თემურ, თქვენ ხართ ერთ-ერთი ინიციატორი, ვინც პრეზიდენტის გადადგომას ითხოვთ და ამისთვის ხელმოწერებიც შეაგროვეთ. ამასთან, აცხადებთ, რომ ქართული ოცნება სააკაშვილის იმპიჩმენტს ერიდება და ამის განხორციელების ეშინია. წყალში გადაყრილი აღმოჩნდება საბოლოოდ ამდენი ადამიანის ნება, რომ პრეზიდენტმა დატოვოს თანამდებობა?

– 6 თებერვალს, როდესაც პრეზიდენტი აპირებს პარლამენტში მისვლას, შეიძლება ამ ხელმოწერებით ბარიკადი აღვმართოთ. ეს ხელმომწერები მხოლოდ ერთი მილიონი კი არ არის, არამედ გაცილებით მეტი. ესენი არიან ზნეობრივი ადამიანები. მალე 2 მილიონი იქნება ხელმომწერი, ძალიან ბევრი ითხოვს ხელმოწერას. მართალია ამ ხელმოწერებს იურიდიული ძალა არ აქვს, მაგრამ ზნეობრივია. გვინდა, რომ 6 თებერვალს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდეს ერთი ავტობუსი მაინც და ამ ხალხმა თავისი პოზიცია დააფიქსიროს. ჩვენ არა გვაქვს ფინანსები, რომ ამ ხალხის ჩამოყვანა უზრუნველვყოთ. ყველა რაიონიდან თითო ღირსების ავტობუსი მაინც უნდა დაიძრას. 6 თებერვალს დილის ათი საათიდან საქართველოს პარლამენტთან ქუთაისში იწყება ღირსების შეკრება. ჩვენ ვამბობთ უნდა დავიცვათ საკუთარი ღირსებაც და ქვეყნის ღირსებაც. თვითმარქვია პრეზიდენტს იწვევენ საქართველოს პარლამენტში. იმ პრეზიდენტს იწვევენ, რომელმაც პირადად გენოციდი მოუწყო საქართველოს მოსახლეობას, რომელიც აპირისპირებს საქართველოს კუთხეებს; რომელიც არის საქართველოს ნომერი პირველი მტერი დღეს. კარგი ტექსტი იქნება, ყველა მოვაწერთ იქ მყოფი ხელს, რომ საქართველოს თვითმარქვია პრეზიდენტი გამოჰყავთ პარლამენტში. შეიძლება არ დაიჯეროთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდა პრეზიდენტის სასახლესთან და ღიად თქვა: ბოდიშს ვიხდი, რომ ამ პრეზიდენტს ვუჭერდი მხარსო. ბევრმა თქვა, როგორც ესენი საქართველოს პატრიარქს ექცევიან, არ შეიძლია ვაპატიო და ამისათვის ვაწერ ხელსო. აღშფოთებული ქუთაისელები ჩამოვიდნენ, როცა მოისმინეს სააკაშვილის სიტყვები: პარლამენტი რომ არ იყო, ქუთაისი მკვდარი ქალაქი იყოო. დავით აღმაშენებელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და საქართველომ ამ გზით უნდა იაროს. ვისაც აწყობს, რომ საქართველოს რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი ჰქონდეს, ის ქვეყნის ნგრევის მომხრეა. ვისაც უნდა ქუთაისის მომავალზე უფიქროს, ქუთაისი საუნივერსიტეტო ქალაქად უნდა იქცეს და იქ ტექნიკური უნივერსიტეტი უნდა გადავიდეს. ახალგაზრდობასთან არის ქალაქის განვითარება დაკავშირებული და არა რომელიმე სამინისტროსთან ან უწყებასთან. ქუთაისი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ქალაქი, ბიზნესის ქალაქი და იუნესკოს ქალაქი. 400 მილიონი, რომელიც პარლამენტის შენობაში დაიხარჯა, ამ თანხით ქუთაისი მართლაც აყვავდებოდა.

– ფიქრობთ, რომ ხალხის საკმაოდ დიდი რაოდენობა შეიკრიბება ქუთაისში 6 თებერვალს?

– დარწმუნებული ვარ. ძალიან ბევრი ადამიანი დადგება იქ, ვინც ღირსებას და საქართველოს იცავს თვითმარქვია პრეზიდენტისაგან. იქ დადგება ხალხი ყოველგვარი პარტიული ნიშნის გარეშე. კახა მიქაიამ დარეკა სამეგრელოდან და თქვა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი აპირებს წამოსვლასო. ეს არის ჩვენი სიძლიერე. ქუთაისიდან შემოსძახებს ქართველი ხალხი, რომ ჩვენ ვართ ღირსების ხალხი და ღირსებით დავდგებით მომავლის საქართველოს სადარაჯოზე, აი ეს არის მნიშვნელოვანი. ვიმეორებ, ქართულ ოცნებას რისთვისაც აკრიტიკებენ, მე ამისთვის არ ვაკრიტიკებ. რაც ნაციონალურმა მოძრაობამ დაიმსახურა, ისე უნდა მოექცეს ოცნება მას და არა კოჭი უგოროს, ეფეროს და თან გაითვალისწინოს მაკკეინი რას იტყვისო. დღეს ხელისუფლებას იმაზეც აკრიტიკებენ, რომ რაიონებში უღირსი ადამიანები ინიშნებიანო – ვეთანხმები. მოქალაქეთა კავშირმა, ნაციონალურმა მოძრაობამ, აღორძინებამ ის გააკეთეს, რომ ნებისმიერ ვიგინდარასაც კი გაუჩნდა სურვილი, რომ რაიონის და ქალაქის მერი გახდეს. ეს არ არის მარტივი პროცესი და ამის გაჩერება ასე იოლად ვერ მოხდება. ავიღოთ რაც ხდება სასამართლოებში. იგივე ცეზარ ჩოჩელზე გეტყვით, ის არის მონური ფსიქოლოგიის ადამიანი და ამიტომ იყო სააკაშვილის გვერდით. რასაც ავალებდნენ, აკეთებდა. ჩოჩელი უნდა დაისაჯოს მისი მონობისთვის და არა იმისთვის, რომ რაღაც ფინანსური ოპერაციები გააკეთა. დღეს სააკაშვილზე და მერაბიშვილზე დევნა თურმე არ შეიძლება. დღეს ეს გაუნათლებელი მერაბიშვილი თურმე პარტიის ლიდერია. ნახეთ, როგორ თავხედურად იქცევა დედაქალაქის მერი, თავის მოვალეობას არ ასრულებს და ხალხი კი უკმაყოფილებას ივანიშვილის მიმართ გამოთქვამს. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას ავტორიტეტი დაუკარგონ. გაგახსენებთ, 2006 წელს დავიწყეთ ჩვენ პროექტები: ,,ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“. მაგრამ ახლა უკვე იმპიჩმენტზე ლაპარაკი აღარ არის. ახლა უნდა ვაიძულოთ ეს ხელისუფლება და ვუთხრათ: თქვენ ხართ უმძიმეს მდგომარეობაში, ნუ აიღებთ პასუხისმგებლობას სააკაშვილის შემდგომ ქმედებებზე, ეს კაცი ქვეყანას შეიყვანს ომში. ქვეყანაში უდიდესი დაპირისპირება გვექნება, თუ სააკაშვილი პრეზიდენტად დარჩება. ჩვენ პიროვნება მიხეილ სააკაშვილს კი არ ვებრძვით, ჩვენ ვებრძვით ვერაგი აზროვნების პიროვნებას. ვინც 6 თებერვალს ხელს მოვაწერთ მემორანდუმს, ამით დავაფიქსირებთ: ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას სააკაშვილის ქმედებებზე, ვაკისრებთ დღევანდელ პარლამენტს, ,,ქართულ ოცნებას“ პასუხისმგებლობას და იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც თვლიან, რომ ეს ვერაგი კაცი სააკაშვილი კიდევ 10 თვე იყოს საქართველოს პრეზიდენტი. ვინც ქვეყნის პატრიოტია შიგნით და ვინც საქართველოს მეგობარია გარეთ, ყველას აქვს საშუალება, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სწორი არჩევანი გააკეთოს. კონსტიტუციის თანახმად 20 იანვარს დამთავრდა სააკაშვილის პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა. ვინც ლაპარაკობს მეორე თარიღზე – ოქტომბერზე, კი ბატონო, არჩევნები ჩატარდეს ოქტომბერში, მაგრამ არსად წერია, რომ სააკაშვილი ოქტომბრამდე პრეზიდენტი უნდა იყოს.

ღარიბაშვილი ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელმძღვანელობას შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეტა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელმძღვანელობას შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, ტექნიკური და ინტელექტუალური მხარდაჭერის პერსპექტივები განიხილეს.

მინისტრმა ასევე შეხვედრა გამართა აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთან, დოქტორ ელიზაბეტ შერვუდ-რანდოლტთან. ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველს საუბრის დროს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი რეფორმებიც განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 თებერვალს დასრულდება.

ნიუსპრესი

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნატოს შტაბ-ბინაში შეხვედრები გამართა

ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლევან დოლიძე, დღეს ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუს და ნატოს სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაის შეხვდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრებზე მხარეებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები განიხილეს. საუბარი შეეხო ასევე, საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღმავების საკითხებსა და თანამშრომლობის გაუმჯობესების პერსპექტივებს.

„ჩვენ გვქონდა საუბარი ყველა იმ მექანიზმის ეფექტურად გამოყენებაზე, რაც მთავარი ინსტრუმენტია ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო მომავალში ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, სადაც კიდევ უფრო აქტიურად დაისმება საქართველო-ნატოს შორის ურთიერთობების გაღმავების პერსპექტივები. ჩვენ ვისაუბრეთ ყველა იმ ეფექტური მექანიზმის გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ნატოსთან თავსებადობას და თანამშრომლობის მომავალში გაღრმავებას“ – განაცხადა ლევან დოლიძემ.

დღესვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დირექტორთან ფრენკ ბოლანდთან და ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის საკითხებში ჰუსეინ დირიოზთან.

ნატოს შტაბ-ბინაში სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ხვალ საქართველოს დელეგაცია მოხსენებით წარდგება ნატოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების წინაშე. შეხვედრაზე ალიანსის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, ქართული მხარე დეტალურად გააცნობს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ ხედვას. მხარეები ასევე, იმსჯელებენ იმ ღონისძიებებზე, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობას უზრუნველყოფს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სააკაშვილი ივანიშვილზე მდიდარია!

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ ჯონდი ბალათურიასთან

– ბატონო ჯონდი, ახლახან მოვისმინე, ამერიკის ერთ-ერთმა ამერიკულმა ორგანიზაციამ გამოიკვლია, რომ სააკაშვილს ასეულობით მილიონი დაჰგროვებია მას შემდეგ, რაც ის საქართველოს პრეზიდენტი გახდა. თქვენი და ამერიკელების გამოთვლები ერთმანეთს ემთხვევა?

– სააკაშვილის ქონების ორი სხვადასხვა მხარის შეფასება ერთმანეთს დაემთხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის ძალიან მცირე ნაწილი იმისა, რაც პრეზიდენტს აქვს. ექსპერტები მეუბნებიან, ის, რაც გამოვაქვეყნეთ, ძალიან მცირე ნაწილია იმისა, რის მოპოვებაც ჩვენ დოკუმენტურად შევძელითო. კიდევ არსებობს პრეზიდენტის უკანონო ქონების თაობაზე ინფორმაცია, მაგრამ დოკუმენტები არ გვაქვს. ჩვენ იმაზე არ ვლაპარაკობთ, რაზეც დოკუმენტები არ გვაქვს. ამის უფლება თქვენ გაქვთ, ჟურნალისტებსა და არასამთავრობოებს და ისინი საუბრობენ ამაზე. ის, რაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ, ძალიან შთამბეჭდავია. სააკაშვილი ძალიან მდიდარი ადამიანია, საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი. ამას ექსპერტები რომ ისმენენ, მეკამათებიან, სააკაშვილი საქართველოში კი არა, მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანიაო. საუბარია იმაზე, რაც ჩვენ ვიცით დოკუმენტურად, ფოტომასალით, საჯარო რეესტრის ამონაწერებით.

– თუ საიდუმლო არ არის, რომელი ექსპერტები გეუბნებიან, რომ სააკაშვილი მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანია?

– ჩვენი ექსპერტები, რომლებიც მუშაობდნენ ამ საკითხზე ჩემი დავალებით, მეუბნებიან, რომ სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია.

– კაცი გართობაზე იყო გადასული, იმაზე ფიქრობდა, დრო სად ეტარებინა, ფულიც უყვარდა, რასაკვირველია და პრეზიდენტობით ნახა გზა გამდიდრებისა. ბაქრაძემ განაცხადა, ჩვენს ხელისუფლებას ათას რაღაცას აბრალებდნენ და წლების განმავლობაში მიდიოდა დემონიზაციის პროცესი და ატყუებდნენ ხალხს, თითქოს ჩვენ ელიტურ კორუფციაში ვიყავით ჩაძირული, რაც ტყუილი იყოო. ამაზე რას იტყვით?

– ეს ტყუილი არ იყო. ბევრი კორუფციული ფაქტი ამოტივტივდა და ბევრიც ამოტივტივდება.

– მგონი, ეს განცხადება ბაქრაძემ კეზერაშვილის საქმესთან დაკავშირებით გააკეთა. როგორც ჩანს, უფრო მძიმე დანაშაულების გამომზეურებას ელოდნენ და სულ მუდამ აცხადებენ, რომ ის, რასაც ბრალად სდებენ, არაფერია.

– მიკვირს, ბაქრაძე რატომ ცდილობს, გადაეფაროს ბანდას? თვითონ ბაქრაძე ამაში გასვრილი არ იყო.

– არა?

– ჰო. ამის თაობაზე ინფორმაცია არ მაქვს და რატომ მიჰყვება ამ ბანდას საფლავში, ვერ ვხვდები. რატომ თვლის თავს ვალდებულად, რომ გამოესარჩლოს ყველა ბანდიტს და მთავარ ბანდიტს მიხეილ სააკაშვილს? რატომ ცდილობს ამას, არ ვიცი. მესმის, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრია, მაგრამ ხალხში არ აქვს ბანდიტის იმიჯი. ჯობია, თავისი პოლიტიკური მომავლისთვის ცოტა წინ გაიხედოს.

– პოლიტიკური სასაფლაოსკენ და დასაფლავებისკენ ნაციონალური მოძრაობა მიდის?

– არ ვიცი. ამ ტერმინებით არ ვლაპარაკობ. მე ვკითხულობ, რატომ ცდილობს ბაქრაძე, გამოესარჩლოს ბანდიტებს?

– ტერმინ „პოლიტიკური სასაფლაოს“ გამოყენება შესაძლებელია.

– „პოლიტიკური სასაფლაო“ თუ გაინტერესებთ, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკაში დარჩენა სირცხვილია ჩვენი საზოგადოებისთვის.

– ნაციონალური მოძრაობა რეალურად პოლიტიკური

დასაფლავებისკენ მიდის თუ ის ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია?

– მე არ მინდა, ეს ტერმინები გამოვიყენო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის ამ სახით პოლიტიკაში დარჩენა ჩვენი საზოგადოებისთვის დამამცირებელია. მათ პოლიტიკურ მომავალს არ ვუკრძალავ. ნაციონალურ მოძრაობაში არიან ადამიანები, ცალკეული პირები, რომლებსაც ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღიათ, საღი გონებაც აქვთ. მათ ურჩევნიათ, პოლიტიკური მომავალი შეინარჩუნონ ინდივიდუალურად. ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური მომავალი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი ნაქურდალი რესურსები აქვს. ნაქურდალით დიდი ფინანსური რესურსები აქვს, რითაც დიდ მედიაზე გავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში აღარ არის, მედიაგავლენა შეინარჩუნა.

– ნაციონალური მოძრაობის მედიაზე გავლენას ფინანსურ რესურსებს უკავშირებთ?

– ფინანსურ რესურსებს უკავშირდება მედიაზე გავლენა, რა თქმა უნდა. ისინი ფლობენ მედიაკომპანიებს.

– მეგონა, იმას ამბობდით, რომ ნაციონალური მოძრაობა ჟურნალისტებს პირდაპირ აფინანსებს.

– შეიძლება, არც უმაგისობაა ზოგიერთ შემთხვევაში.

– თქვენ თქვით, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკაში დარჩენა სირცხვილიაო. თებერვალში პარლამენტი სააკაშვილს მოუსმენს, როგორც პრეზიდენტს და მისგან ანგარიშს ჩაიბარებს. მოგეხსენებათ, სააკაშვილს უფლებამოსილების 5-წლიანი საკონსტიტუციო ვადა გაუვიდა. მით უმეტეს, ამ ვადაგასული პრეზიდენტის მოსმენა რამდენად არის მიზანშეწონილი?

– ეს პარლამენტის გადასაწყვეტი საკითხია. მე ვერაფერს ვიტყვი. თუ პარლამენტს მიაჩნია, რომ ვადაგასულია, საპაკაშვილის იმპიჩმენტი უნდა განახორციელოს. შარშან პარლამენტში მე დავიწყე სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა. იქ დევს მასალები სააკაშვილის კორუფციაში ხელშეწყობის, კორუფციული პირამიდის შექმნა და პირადად მისი კორუფციაში მონაწილეობის თაობაზე, რაზეც სრული საფუძველი არსებობს, რომ პარლამენტმა იმპიჩმენტი დაიწყოს. თუ პარლამენტი ჩათვლის, რომ სააკაშვილი ვადაგასულია და თან მიზანშეწონილიც აღარ არის მისი პრეზიდენტობა, უმრავლესობას შეუძლია, შესაბამისი პროცედურა დაიწყოს მისი უფლებამოსილების შესაწყვეტად.

– თქვენ როგორ მიგაჩნიათ, პარლამენტმა სააკაშვილის იმპიჩმენტის ან როგორც ვადაგასული პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა უნდა დაიწყოს?

– ჩემი პოზიცია ჩემს საქციელში ჩანს – მარტო ვიყავი, მაგრამ მაინც წამოვიწყე იმპიჩმენტის პროცედურა. წინა პარლამენტში იმპიჩმენტის წამოწყებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ეს მაინც უნდა გაეკეთებინა ვიღაცას. ამით ძალიან დიდი პასუხისმგებლობა დავაკისრე უმრავლესობის იმ წევრებს, რომლებიც ცდილობდნენ, პრეზიდენტის დანაშაულები დაეფარათ. რადგან მე წამოვიწყე სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა, იმპიჩმენტის მომხრე ვარ, თუმცა, ყველას თავისი აზრი აქვს და ყველას აქვს უფლება, ჩემგან განსხვავებული აზრი ჰქონდეს.

– ისე, ხშირად იხსენებენ იმ ფაქტს, როგორ დაგემუქრათ სააკაშვილი, როცა მას პირში უთხარით, რომ სწორედ ის იყო პირველი კორუფციონერი ქვეყანაში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მისთვის პირდაპირ ამის თქმა სხვებმა ვერ გაბედეს. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჯონდი ბაღათურიამ გააკეთა ის, რაც ვერ გააკეთა მთელმა ქვეყანამ, რაც ვერ უთხრა სააკაშვილს, მაგალითად, ჩახვაძემ.

– გმადლობთ...

– 2008 წელს სააკაშვილმა ოპოზიციას უწოდა „გაფარჩაკებული“, როდესაც არჩევნებში ხელის გადაგრეხის პრინციპით „დაამარცხა“. დღეს ის არის გაფარჩაკებული რეალურად?

– მე დავსვამ შეკითხვას – ჯერ ერთი, საკითხავია, რა ჩიტი დაიჭირა მიხეილ სააკაშვილმა თავისი მაშინდელი საქციელით? მეორე – ასეთი ტერმინოლოგიით ოპონენტებთან საუბარი არ არის გონივრული. მე იმავე ტერმინოლოგიით საუბარი არ მსურს, მაგრამ თვითონ შეაფასოს თავისი მდგომარეობა. ჩემი ინფორმაციით, ის ცუდ მდგომარეობაშია.

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სააკაშვილი თავის მდგომარეობას ვერ აფასებს და დღესაც მონოლოგების რეჟიმშია.

– შეიძლება, აფასებს, მაგრამ სკამს ებღაუჭება. იმდენად უყვარს თავისი ასეთი მდგომარეობა (საპრეზიდენტო სკამი), რომ კიდევ შეცდომებს უშვებს. ამით თავის მდგომარეობას ამძიმებს, სხვას ვერაფერს იზამს. მას ძალაუფლების დაბრუნების რესურსი აღარ აქვს. წარმოუდგენელ შესაძლებლობაზეა საუბარი. მიშას მიერ ძალაუფლების დაბრუნების შანსი კი 0%-ია. მას აქვს საქმის გაფუჭების შანსი, რასაც წარმატებით აკეთებს. მას შეუძლია, ქვეყანა გალანძღოს რომელიმე ევროპული ტრიბუნიდან, ტყუილების კასკადი გაუშვას. ის მიზანმიმართულად ცდილობს, პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს, თავისი პროპაგანდისტული მედიით ცდილობს, შექმნას აზრი, თითქოს საქართველოში არ არის სტაბილური მდგომარეობა. ეს, რა თქმა უნდა, ინვესტიციებსა და ბიზნესს ემუქრება, რაც ეკონომიკას აჩერებს. ეს იმას ნიშნავს, თუ ასე გაგრძელდა, ხვალ და და ზეგ შეიძლება პენსიები და ხელფასები ვერ დავარიგოთ. ჩვენ სააკაშვილს ამის შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ. ძალიან სამარცხვინოა, როდესაც პრეზიდენტი გვევლინება, როგორც პროვოკატორი და კრიზისის შემქმნელი, მაგრამ ამის საშუალება არ უნდა მივცეთ, ხელიდან უნდა წავართვათ ყველა ინსტრუმენტი, თორემ სააკაშვილს შეუძლია, ქვეყანაში კრიზისი შექმნას. ამას მე რეალურად ვხედავ. ამიტომ საჭიროა კონსოლიდაცია, რათა მოსალოდნელი კრიზისები დაიძლიოს. არ უნდა მივცეთ საშუალება სააკაშვილსა და მის ბანდას, ქვეყანაში კრიზისი შექმნან, მეორე მხრივ, ქვეყანას განვითარების საშუალება უნდა მივცეთ.

– რაიმე ახალი ინფორმაცია ან დოკუმენტი ხომ არ მოგიპოვებიათ სააკაშვილისა და მისი ნაციონალური მოძრაობის კორუფციული საქმიანობის თაობაზე?

– დიახ, ახლა მაცნობენ მასალებს, მაგრამ ჯერ უნდა შევისწავლოთ.

– ექსპერტიზაზე უნდა გაატაროთ?

– დიახ, უნდა გავფილტროთ. ძალიან მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტია, რომლის საშუალებით ჩვენ მოვიპოვეთ მასალები, საიდანაც იკვეთება სახელმწიფო ინტერესების პირდაპირი ღალატი. პირდაპირ, შეგნებულად, ბოროტი განზრახვით ჩადენილ დანაშაულზეა საუბარი.

– პირთა ჯგუფის მხრიდან თუ ერთ პირზე, მიხეილ სააკაშვილზეა საუბარი?

– პირთა ჯგუფია, მაგრამ უმაღლესი თანამდებობის პირები არიან. მათ შორის...

– სააკაშვილი...

– ასე ჩანს. უმაღლესი თანამდებობის პირები არიან ამაში ჩართული. ამ პროექტის პრეზენტაცია მალე გვექნება.

– რამდენადაც მახსოვს, თქვენ სააკაშვილის კორუფციული საქმიანობის თაობაზე პროკურატურას მიმართეთ.

– დიახ, ჩვენ პროკურატურას მასალები გადავუგზავნეთ და ვთხოვეთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ამ მასალებში არის ფოტო და სხვა დოკუმენტური მასალები პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კორუფციაში მონაწილეობისა და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, მათ შორისაა უკანონო დაუსაბუთებელი ქონება, არალეგალური და დაფარული შემოსავლები. ამაზე პროკურატურამ უნდა იმუშაოს.

ყვითელი მიკროავტობუსი დააყადაღეს

„თიბისი ბანკი“ შპს „თბილლაინის“ კუთვნილი მიკროავტობუსების დაყადაღებასთან დაკავშირებით, განმარტებას აკეთებს და აღნიშნავს, რომ დაყადაღებულ 150 მიკროავტობუსს, მგზავრების ინტერესებიდან გამომდინარე, მუშაობის უფლება არ შეეზღუდება.

როგორც ბანკში აცხადებენ, კომპანიის კუთვნილი 2,500 მიკროავტობუსიდან მხოლოდ მცირე ნაწილი – 150 ცალი მიკროავტობუსი დაყადაღა.

მათივე ცნობით, ამ 2,500 მიკროავტობუსიდან, ყველაზე პიკური მოძრაობის დროსაც კი 1,800 მიკროავტობუსზე მეტი ქალაქში არ მოძრაობს, დანარჩენი 700 მიკროავტობუსი რეზერვად ითვლება.

„ბოლო დროს განვითარებული მოვლენების და კომპანიაში შექმნილი მდგომარეობის გამო, როდესაც მოხდა მიკროავტობუსების დაზიანების რამდენიმე ფაქტი, თიბისი ბანკმა, იმისათვის, რომ დაეცვა შესაძლო დაზიანებისგან გირაოთი დატვირთული ქონება, მიმართა სააღსრულებლო ბიუროს და მოითხოვა ამ 150 მიკროავტობუსის დაყადაღება, რაც კომპანიის გაჩერებას ვერ გამოიწვევდა. თუმცა, ვითვალისწინებთ რა თბილისის მოსახლეობის ინტერესებს და აგრეთვე იმას, რომ დღეისათვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ხვალიდან მიკროვატობუსებმა ჩვეულ რეჟიმში განაგრძონ ფუნქციონირება, გადავწყვიტეთ აღნიშნულ 150 მიკროავტობუსსაც მივცეთ ფუნქციონირების საშუალება და აღარ მოხდეს მათი გაჩერება“,-აცხადებენ „თიბისი ბანკში“

შეგახსნებთ, რომ მიკროავტობუსების მძროლების გაფიცვის ფონზე „თბილლაინის“ კუთვნილი მიკროავტობუსები „თიბისი ბანკის“ მოთხოვნით აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დღეს დილით დააყადაღა.

მედიანიუსი

დავით კირკიტაძე საპროტესტო აქციებით იმუქრება

ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე ახალ ხელისუფლებას რუსთავის ბიუჯეტის შემცირების გამო, რუსთავის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლაში ადანაშაულებს და საპროტესტო აქციებით იმუქრება.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე კირკიტაძემ აღნიშნა, რუსთავის ბიუჯეტი 2013 წელს 50 პროცენტით შემცირდა და 25 მლნ ლარი გახდა.

„ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში შექმნილია საბიუჯეტო კრიზისი, ან ადგილი აქვს ახალი ხელისუფლების მხრიდან რუსთავის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლას. ბიუჯეტის შემცირებამ ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტების შეჩერება გამოიწვია, კერძოდ ლიფტების, შიდა გზების, სახურავების რეაბილიტაციის პროექტები; ასევე კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის პროექტი, სპორტის სასახლის, კულტურის სახლისა და საბავშვო ბაღების მშენებლობების პროცესის შეჩერება“,– აცხადებს ქვემო ქართლის გუბერნატორი.

მისივე თქმით, ბიუჯეტის შემცირების გამო, მან არა ერთი წერილი და თხოვნა გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ, ბიძინა ივანიშვილსა და ფინანსთა მინისტრს.

„მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს და ფინანსთა მინისტრს, დაინტერესდნენ რუსთავით. თუ რუსთავის ბიუჯეტს თანხას არ დაუმატებენ და ჩამოთვლილი პროექტები კვლავაც არ გაგრძელდება მაშინ ადგილობრივი ხელისუფლება, კერძოდ „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩვენი გუნდის წარმომადგენლები აღნიშნული მოთხოვნით პერმანენტულ აქციებს გავმართავთ“,-განაცხადა დავით კირკიტაძემ

მედიანიუსი

ირაკლი ჩიქოვანი სამი თვეა სამსახურში არ გამოცხადებულა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი, რომელიც ტელეკომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორში ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო ინსტიტუტს ხელმძღვანელობს, სამსახურში, 2012 წლის 6 ნოემბრის შემდეგ არ გამოცხადებულა.

გავრცელებული ინფორმაციით ჩიქოვანი სამთვიან შვებულებაშია და სამსახურს 15 თებერვალს დაუბრუნდება. ინფორმაციას ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ავრცელებს.

ირაკლი ჩიქოვანი, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორი და მეწილე იყო, მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარედ 2009 წელს დაინიშნა. ჩიქოვანი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფიგურაა საქართველოში. მისი ყოველთვიური ხელფასი 18 ათას ლარს შეადგენს, რაც საგრძნობლად აღემატება საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნებისმიერი წევრის ხელფასის ოდენობას. ამას ემატება 2011 წელს კერძო სამეწარმეო საქმიანობიდანმიღებული 1,413,922 ლარი.

„ირაკლი ჩიქოვანის არყოფნა ცალსახად უარყოფითად აისახება მარეგულირებელი ორგანოს გამართულ ფუნქციონირებასა და გადაწყვეტილებების მიღების შეუფერხებელ პროცესზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უწყება რამდენიმე გადამწყვეტ პროცესშია ჩართული. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლაა“ – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მიიჩნევს, რომ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, კომისიის წევრებს მაღალი ხარისხის იმუნიტეტსა და დამოუკიდებლობას ანიჭებს, რაც მიზნად ორგანიზაციის გარე პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლებას ისახავს. მაგალითად, რთულია კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის აღძვრა. ამისთვის პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედია საჭირო.

„რთულია იმის დაზუსტებით თქმა, რომ ბატონი ჩიქოვანი კანონმდებლობის დარღვევით მოქმედებს. მან შვებულება კანონის შესაბამისად აიღო, რაც, თავისთავად, შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. თუმცა მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელმძღვანელმა პირმა კანონი რომელიმე უწყების საზიანოდ არ უნდა გამოიყენოს. მას ხელმძღვანელისთვის აუცილებელი პასუხისმგებლობის გამოჩენა ევალება, მითუმეტეს, რომ არჩევნების შემდეგ ძალიან ბერი ინიციატივა გაჟღერდა, რომელშიც კომისიის მაქსიმალური ჩართულობაა საჭირო“ – ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ , პარლამენტს ჩიქოვანის საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

„ მნიშვნელოვანია გავიგოთ კვლავ აქვს თუ არა მას აღნიშნული უწყების უხელმძღვანელობის სურვილი ან რით არის განპირობებული მისი ამდენი ხნით სამსახურეობრივი მოვალეობების შეუსრულებლობა“ – აცხადებენ ორგანიზაციაში.

ნიუსპრესი

ალეკო შალამბერიძე: „ივანიშვილი ამერიკის დაკრულზე ცეკვავს“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების შანსებს სკეპტიკურად უყურებს „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე. მისი აზრით, რამდენიმე თვით სააკაშვილის პრეზიდენტად დარჩენა ქვეყნისთვის სახიფათოა. შალამბერიძეს მიაჩნია, რომ ახალი ხელისუფლება სათანადოდ არ იქცევა.

რატომ არ იქცევა ხელისუფლება სათანადოდ, რას ნიშნავს პროქართულობა, ვინ უშლიდა დსთ-დან საქართველოს გამოსვლას ხელს, ამის შესახებ ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ „თავისუფალი საქართველო“ ვალერი ხაბურძანიასთან გაერთიანებას და პრორუსული ძალის შექმნას აპირებთ. მართლა ასეა?

– ვალერი ხაბურძანიასთან გაერთიანებაზე საუბარი ჯერ ნამდვილად არ გვქონია. ცოტა ხნის წინ ის თბილისში იმყოფებოდა. ხაბურძანია შეხვდა კახა კუკავას. ვალერიმ თქვა, რომ ის ბრუნდება პოლიტიკაში. რასაც ჩვენ მივესალმებით.

– თქვენს პარტიაში ხომ არ აპირებს გაწევრიანებას?

– ამაზე საუბარი არ ყოფილა. ეს ადამიანი ბრუნდება პოლიტიკაში. როგორ და რანაირად მოხდება მისი დაბრუნება ამას დრო გვიჩვენებს.

– პარტიის პოლიტიკურ კურს ზე რას გვეტყვით, „თავისუფალი საქართველო“ პრორუსულ ძალად მოიაზრება.

– როგორ გეკადრებათ. „თავისუფალი საქართველო“ არის ყველაზე პროქართული პარტია.

– აბა, რატომ გიჭირავთ თვალი რუსეთზე?

– ჩვენ რუსეთზე თვალი არ გვიჭირავს. მითებს ჩვენი პრორუსულობის შესახებ ამერიკის მსტოვრები ავრცელებენ.

– ამას ჭორად გავრცელება რად უნდა. თქვენი პარტია ღიად აფიქსირებს, რომ საქართველოს რუსეთთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდესო.

– ამ პოზიციას ყოველთვის დავაფიქსირებთ. სწორედ ეს ნიშნავს ჩვენი პარტიის პროქართულობას. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისკენ ევროპა და ამერიკა უკვე დიდი ხანია მოგვიწოდებენ. გამოდის, რომ ისინიც პრორუსულები ყოფილან. ჩვენს პრორუსულობაზე ნაციონალები ჭორაობენ. ისინი არიან ამერიკის ყმები. და თავისი ყმობა რომ გაამართლონ ამიტომ აბრალებენ სხვებს რაღაცებს. ნაციონალები ქართულ საქმეს არასდროს აკეთებდნენ. ამიტომაც წავიდა ჩვენი საქმე ცუდად. ჩვენ გვინდა ქართული საქმის კეთება და ამას გავაკეთებთ კიდევაც.

– ქართული საქმის კეთებაში რას გულისხმობთ რუსეთთან ურთიერთობას?

– ახლა მთავარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ამ პრობლემის გადასაჭრელად რუსეთთან დიალოგი აუცილებელია. ჩვენ მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან.

– მჭიდროდ თანამშრომლობაში დსთ-ში შესვლას ხომ არ გულისხმობთ?

– დსთ-ს თემა წამოსწიეს ნაციონალებმა. გია ბარამიძე გამოვიდა და რაღაცა ინიციატივები წარადგინა დსთ-ს წინააღმდეგ. სხვა არავინ ჰყავდათ ნაციონალებს, მისთვის რომ არ დაევალებინათ ეს საქმე? ეგ კაცი წლების წინ იმას ამტკიცებდა, დსთ საქართველოსთვის აუცილებელიაო.

– ამბობს, რომ ეს მიამიტობით მოუვიდა?

– მიამიტობით? აღუ ნეკაზე არ მიკბინოს. ეგ მიამიტი 9 თვის ასაკშიც კი არ იქნებოდა. საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების საკითხი პარლამენტის სხდომაზე განიხილებოდა. ამ სხდომას მთელი საქართველო ადევნებდა თვალს და კარგად გვახსოვს, რა მოხდა მაშინ. ბარამიძე დაგვიანებით შემოვარდა სხდომაზე და ყვიროდა, დსთ-ს სასარგებლოდ ჩემი ხმაც დაამატეთო. ახლა კიდევ მიამიტი ყოფილა თურმე. თუ შესვლა უნდოდათ ამ მამაცხონებულებს, სოხუმის დაცემამდე ვერ შევიდნენ? რუსეთი აფხაზეთის დაცემამდე გვიყენებდა ამ პირობას. მაგრამ მაშინ თავი გაიგიჟეს ბარამიძის მსგავსმა მიამიტებმა. ამ მიამიტობით აფხაზეთიც დაგვაკარგვინეს ათეულობით ათასი ადამიანიც დაგვიხოცეს და დაჩოქილები შეგვათრიეს რუსეთში. ესეც იმიტომ გააკეთეს, რომ შევარდნაძეს და მის ბანდას სკამი გადაერჩინათ. გავიხსენოთ, როგორ გამოვედით დსთ-დან. სანამ ხელმეორედ არ დაგვაჩოქეს, იქიდან არ წამოვედით. იქაურობა აგვისტოს ომის მერე დავტოვეთ.

– ეს, მგონი, სწორი გადაწყვეტილება იყო?

– მესმის, რომ იქ ვეღარ დავრჩებოდით. გაგახსენებთ, რომ პარლამენტში არაერთხელ

დადგა საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხი. ბარამიძე, სააკაშვილი და მთელი ამათი გუნდი გამოდიოდა და იძახდა, რომ დსთ მარტო დსთ არ არისო.

– აბა, რა არის მაპზე უკეთესიო?

– ეტყობა მაშინ მაპზე უკეთესად მიაჩნდათ. ამბობდნენ, რომ საქართველოსთვის ამ გაერთიანებიდან გამოსვლა დამღუპველი იქნებოდა.

– ნეტავი ესეც მიამიტობით ხომ არ მოუვიდათ?

– აბა რა. ესენი ხომ მიამიტები არიან. მიამიტები კი არა, საერთაშორისო დონის ჟულიკებთან გვაქვს საქმე. ამათი მთავარი მიზანი ახლა სკამების გადარჩენა და შენარჩუნებაა.

– შეინარჩუნებენ სკამებს?

– მეეჭვება. დსთ-ს ლანძღვა ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალება არ არის.

– დსთ-ში საქართველოს შესაძლო შესვლას განიხილავს თქვენი პარტია?

– ჩვენს პარტიას სურს, რომ საქართველო იყოს განვითარებული და დემოკრატიული ქვეყანა. გვინდა, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს, რისთვისაც რუსეთთან დიალოგია საჭირო. ამ მიმართულებით ახალი ხელისუფლება ძალიან კარგად იქცევა. რუსეთთან საერთო ენის გამონახვას თუ მოვახერხებთ, დასავლეთი ამის შემდეგ დაგვეხმარება. სააკაშვილმა იქნებ აგვიხსნას, რატომ გახსნა საზღვარი. მისი გადაწყვეტილებით რუსეთის მოქალაქეები საქართველოში უვიზოდ შემოდიან.

– არ თქვათ, რომ ამის წინააღმდეგი ხართ?

– წინააღმდეგი არა ვართ, უბრალოდ სააკაშვილის ვერაგობებზე ვსაუბრობ. თავად რუსეთისკენ ჩუმად დგამენ ნაბიჯებს. ხალხს პატრიოტებად აჩვენებენ თავს, ატეხეს ამბავი, რომ ვიღაცა საქართველოს რაღაცა კავშირში მიათრევს. ქმნიან პანიკას და არეულობა უნდათ. ცდილობენ, ამერიკა თავიანთ ერთგულებაში დაარწმუნონ. ამერიკას თავის ერთგულებას უმტკიცებს. სამწუხაროდ, ისიც მათ დაკრულზე ცეკვავს.

– რაში გამოიხატება ეს?

– იმაში, რომ უარს ამბობს სააკაშვილის იმპიჩმენტზე. გვესაუბრება კოაბიტაციის აუცილებლობაზე. ეს კოაბიტაცია წამოვიდა სწორედ ამერიკიდან. ვისთან უნდა ვიკოაბიტაციოთ, ამ კრიმინალებთან? ნაციონალები არიან ჩვეულებრივი კრიმინალები. კრიმინალის ადგილი ხელისუფლებაში არ არის. ივანიშვილი ვალდებულია, ესენი იქ გაუშვას, სადაც მათი ადგილია. პრემიერი არ უნდა შეშინდეს თუ რას იტყვიან ამის გამო მასზე დასავლეთში.

– ფიქრობთ, რომ ეშინია?

– ასე გამოდის. ახალმა ხელისუფლებამ ამ კრიმინალებზე ყველანაირი საბუთები უნდა დადოს და დასავლეთს აუფრიალოს. სააკაშვილზე უამრავი კომპრომატი მოიძებნება. შეაგროვონ ესენი და გაუგზავნონ ამერიკელებს. ხალხს ქართული ოცნება ნაციონალებთან საკოაბიტაციოდ არ აურჩევია. და არც ის ყოფილა ჩვენი ხალხის ოცნება, რომ სააკაშვილი კიდევ ოქტომბრამდე აიტანოს პრეზიდენტად. პრეზიდენტი ხსნის ოროსნობაზე საუბრობს და ყოველდღე ავლენს თავის განათლების დონეს.

– ახლა რა გამოავლინა?

– გეოგრაფიის და რუკის უბადლო ცოდნა. ცხინვალზე უდევს ხელი და ქუთაისის დანიშნულებაზე საუბრობს. ასეთი კაცი ძალიან სახიფათოა ქვეყნის სათავეში.

– გეოგრაფიის არცოდნა სახიფათოა?

– სააკაშვილია სახიფათო. ამ კაცმა არაფერი არ იცის. მას მხოლოდ ინტრიგების ხლართვა, ჟულიკობა და საშინელებების კეთება გამოსდის. დარჩენილ ათ თვეში რას გააკეთებს, კაცმა არ იცის. თუ არ გვინდა, რომ ამ კაცმა სადმე გადაგვჩეხოს ახალმა ხელისუფლებამ მეტი ფხა უნდა გამოიჩინოს.

– პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ბაქრაძემ თქვა, რომ ნაციონალები ძალიან მალე დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. თქვენი აზრით, ეს შესაძლებელია?

– ცხოვრება, განსაკუთრებით კი პოლიტიკა მოულოდნელობებით არის სავსე. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ნაციონალების დაბრუნება გამორიცხულია!

ლევან გაჩეჩილაძის შვილი სააკაშვილს სასამართლოში უჩივის

„ქართველთა ოცნება არ არის ნაპრეზიდენტალის ძალად პრეზიდენტობა“

შორენა მარსაგიშვილი

30 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი ქუთაისში სტუდენტებს შეხვდა. მან ამჯერადაც გამოიყენა ოლიგინალური ლექსიკა და თავისი ოპონენტები შემოელანძღა. ქუთაისელ სტუდენტებს სააკაშვილმა პარლამენტის სხდომაზე ჩაძინებული გუბაზ სანიკიძის ფოტო ნახეგინა.

მძინარე გუბაზის გარდა, სააკაშვილმა ლევან გაჩეჩილაძის შვილსაც გაჰკრა კბილი და მას ლამის ქვეყნის დამაქცევარი უწოდა. ამაზე გაჩეჩილაძეები სავარაუდოდ სარჩელს შეიტანენ სასამართლოში.

სააკაშვილის განცხადებებს პარტია „თეთრების“ ერთ-ერთი ლიდერი გია სიხარულიძეც გამოეხმაურა. ის პრეზიდენტის განცხადებებით შეშფოთებულია.

– გუშინწინ მორიგი რანდევუ გამართა ჩვენმა შლეგმა ჰალსტუხიჭამიამ ქუთაისელ სტუდენტებთან, რომელიც ფოტო თვალსაჩინოებითა და დაკუჭულ ქაღალდზე ამობეჭდილი სიებით გახსნა. ჩვენმა პრეზიდენტყოფილმა ალბათ არ იცის, რომ დასავლეთის დემოკრატიაში, რომლის თაობაზე ამდენს ჰყეფს, უხერხული ფოტოების არათუ ჩვენება, გადაღებაც აკრძალულია სამართლებრივად, მიუღებელია პოლიტიკურად, არაეთიკურია კაცურად, არაესთეტიურია მხატვრულად. მაგრამ მას ან ერთი ვინ მისცა, ან მეორე, ან მესამე, ან მეოთხე. როგორც ჩანს, ბავშვობაში არც ბურთით ათამაშებდნენ, არც შურდულით, არც ძაფზე გამობმული მანქანით. ამიტომაცაა, ბავშვობაში დაკომპლექსებული, აგერ ათი – თხუთმეტი წელია ქვეყნის ბედით რომ თამაშობს ურცხვად. მოკლედ, ეს ახალგაზრდული საუბარი რით დაამთავრა, ვერ ვიტყვით, სრული ვერსია შეხვედრისა, სამწუხაროდ ვერ ვნახეთ. სამაგიეროდ ვნახეთ თვალებგაბრწყინებული ახალგაზრდები. მათთან არაფერი მაქვს სადავო, მათზე უფროსი შვილები მყავს. აი, პატრონები არ ჰყავთ? მე, ამ ახალგაზრდების მშობლების თაობის სულით ხორცამდე ქუთაისელი და გოგგაბაშვილისქუჩელი მეექვსე თაობაში ვკითხულობ: შვილები ასე რატომ გაიმეტეს? რატომ მისცეს უფლება ამ გარყვნილ კაცს შეერყვნა მათი შვილების აზროვნება, სული, გონება რატომ?, – წერს გია სიხარულიძე თავის წერილში.

სააკაშვილის შემხედვარე სიხარულიძეს კითხვები ახალ ხელისუფლებასთანაც უჩნდება.

გია სიხარულიძე:

მე ვეკითხები დღევანდელ ხელისუფლებას: რატომ რჩება უნივერსიტეტები „ნაცმოძრაობის“ მყარ საყრდენად? რატომ რჩება ილია ჭავჭავაძის (და არა ილიას) სახელობის უნივერსიტეტი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფილიალად და „კმარას“ ბუდედ? რატომ აზანზარებს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ქალბატონი, რომლის ერთადერთი დამსახურება სააკაშვილისათვის კონსტიტუციის მორგებაა? რატომ ვერ გამოძებნეთ ქუთაისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელად პიროვნება, რომელიც ნეონაციისტური იდეებით არ დააბინძურებს მეცნიერების ამ წმინდა საყდარს? ისევ თქვენივე აქტივში ხომ სულ მცირე ორი მეცნიერებათა დოქტორი და ღირსეული მოქალაქეა, რომელთაც დღესვე შეუძლიათ წარუძღვნენ ამ მეტად საპატიო დასაპასუხისმგებლო საქმეს. რატომ არ დაიწყო უნივერსიტეტებში იმ პროფესურის დაბრუნება, რომელთაც მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებების გამო დაატოვებინეს სამეცნიერო – პედაგოგიური საქმიანობა? მარტო ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან პოლიციის ძალით მხცოვანი და დამსახურებული მეცნიერების ხელებაწეული გამოყვანა ეყოფოდა ნებისმიერ ხელისუფალს საუკუნოდ შესარისხად.

გასცემს თუ არა საოცნებო ხელისუფლება ამ კითხვებს პასუხს ვერ გეტყვით. კითხვებზე პასუხი თავად სიხარულიძეს აქვს.

– ახალი ხელისუფლების ზოგიერთ ძალიან მაღალჩინოსანს ხომ კოაბიტაცია უფრო აინტერესებს, ვიდრე ქართული მეცნიერების აღორძინება, ვიდრე ქართული სულიერი ფასეულობებისადმი ახალგაზრდობის ერთგულება, ვიდრე ათიათასი სტუდენტობის უფლებააყრილი ახალგაზრდის დაბრუნება აუდიტორიაში, რომელთა დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ პატიოსანი და მშრომელი მშობლები არგუნა განგებამ. ალბათ ეს თქვენ არ გაწუხებთ, ბატონებო, თქვენი შვილები ხომ დასავლეთის სახელოვან უნივერსიტეტებში სწავლობდნენ და სწავლობენ. უმეტესად იმ დამსახურების გამო, რომ ჯიბესქელი და სქელშუბლა მშობლები ჰყავთ, – აღნიშნავს „თეთრების“ ერთერთი ლიდრი.

ის მეოცნებეებს აფრთხილებს, რომ ისინი ყოველდღე კარგავენ მხარდამჭერ ახალგაზრდებს, რადგანაც არაფერი კეთდება მათ უნივერსიტეტებში დასაბრუნებლად, არაფერი კეთდება მათ დასასაქმებლად და არაფერი კეთდება მათთვის საარსებო პირობებისა და ალალი ლუკმა-პურის შესაქმნელად.

სიხარულიძის თქმით, ამ ფონზე თვალშისაცემია, რომ კვლავ გრიალებს „ნაცმოძრაობის“ ელიტა, მათი ოჯახები, მათი სანათესაო, მაღალანაზღაურებად სამსახურებში რჩება ქვეყნის დამაქცევარი „ნაცმო“ და პერიფერიებს „ნაცმოელები“ ან მათი ძმები მართავენ. რომლებმაც დროებით „ოცნებას“ რომ შეაფარეს თავი;

გია სიხარულიძე იმით გაოგნებულია, რომ მეოცნებეებმა სააკაშვილს ევროსაბჭოში დატრიალებული ამბების გამო პასუხი არ მოსთხოვეს. ევროსაბჭოს ტრიბუნიდან სააკაშვილმა ლამის დედა აგინა ახალ მთავრობას. და რაკი ოცნება საერთოდ არ რეაგირებს ასეთ რამეებზე სიხარულიძე თავს ვალდებულად თვლის შეახსენოს ახალმოსულებს რა იყო საქართველოს მოსახლეობის ოცნება.

– ყველამ იცოდეს, იქეთაც და აქეთაც: ქართველთ ოცნება არ არის ნაპრეზიდენტალის ძალად პრეზიდენტობა, ქართველთ ოცნება არ არის ნაცმოსგან ქვეყნის აოხრების გაგრძელება და ქართველთ ოცნება არ არის საქართველოში უცხო ქვეყნების მარიონეტების ზეობა, – მიიჩნევს სიხარულიძე.

როგორც თავში უკვე ავღნიშნეთ, სააკაშვილის განცხადებებს გაჩეჩილაძეების ოჯახის აღშფოთება მოჰყვა. გიგა გაჩეჩილაძის ადვოკატმა ლალი აფციაურმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

მისი განცხადებით, ლევან გაჩეჩილაძის შვილს გაგა გაჩეჩილაძეს უდანაშაულობის პრეზუმპცია იცავს და პრეზიდეტმა მიხეილ სააკაშვილმა მისი ადამიანის ყელის გამოჭრაში დადანაშაულებით უდანაშაულობის პრეზუმპცია დაარღვია.

– გუშინწინ პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ გაგა გაჩეჩილაძემ კამერის წინ ერთ-ერთ მოქალაქეს ყელი გამოჭრა. სააკაშვილმა ფაქტობრივად გაგა გაჩეჩილაძე მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულა, რაც გაჩეჩილაძეს წაყენებული არ აქვს. ინციდენტის ამსახველ კადრებში გაგა გაჩეჩილაძეს ხელში არ უჭირავს იარაღი და ეს ექსპერტიზამაც დაადასტურა. მას ხელში მობილური ტელეფონი აქვს. იძულებული ვართ, პატივისა და ღირსების შელახვის გამო, პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების გამო სასამართლოში სარჩელი შევიტანოთ, – განაცხადა ადვოკატმა

ვინ მოუვლის ნაგავსაყრელებს?

მერი ნამორაძე

გუშინ სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის წინ ლილოს მოსახლეობამ აქცია გამართა. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ ნაგავსაყრელის გაუქმებასა და სხვა ტერიტორიაზე გადატანას, აუტანელი სუნის გამო, რომელიც ხიფათს უქმნის ჯანმრთელობას. არადა, აღნიშნული ნაგავსაყრელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო, რომელსაც გააჩნია გარემოზე ზემოქმედების ანგარიში, პროექტი და ნებართვა, მოქმედების ვადა კი 2035 წლამდეა გათვლილი.

გუშინდელმა აქციამ კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ საქართველოში ნარჩენები სერიოზულ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს. დღემდე ის ითვლება გარემოს დაბინძურების და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების ერთ-ერთ წყაროდ. არასამთავრობო სექტორი, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობს, კარგა ხანია აცხადებს, რომ დღემდე არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია ყოველწლიურად წარმოქმნილი და დაგროვილი ნარჩენების რაოდენობის, ტიპების, გადამუშავების, განთავსების და გაუვნებელყოფის მდგომარეობის შესახებ. ქვეყანას არ გააჩნია ნარჩენების მართვის სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც გრძელვადიან პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი და ემყარებოდეს ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ნარჩენების რესურსებად განახლების ხელმეორედ გამოყენების პრაქტიკას.

გუშინ აქციის მონაწილეებს ვიცემერი ტარიელ ხიზანეიშვილი შეხვდა. შემდეგ კი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე შევიდა, რათა თავად ენახა იქ არსებული სიტუაცია. გუშინვე გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა განმენდით სამუშაოები დაიწყეს, კერძოდ ნაგავს ზემოდან მიწა გადააყარეს. აქციის მონაწილეები გამოეხმაურნენ თბილისის მერის, გიგი უგულავას განცხადებას და აცხადებდნენ, რომ ისინი პოლიტიკურად მართულები არ არიან.

სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელის წინ შეკრებილ დიდი ლილოს მოსახლეობას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ აბაშიძეც შეხვდა. მისი თქმით, მთავარია ის, რომ ხალხმა გამოხატა წუხილი, რაც ნაგავსაყრელის მდებარეობით ან.

ექმნებათ. რამდენიმე თვის წინ, პროტესტის გამოხატვა წარმოუდგენელი იყო. მაშინდელი მთავრობა მათ ან დააპატიმრებდა ან დაარბევდა. დღეს კი ხალხის პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად ჩაერთო. აბაშიძემ უგულავას დაპირება გაიხსენა მაღალტექნოლოგიური პოლიგონის ამოქმედების შესახებ. აბაშიძემ მოსახლეობას პროტესტის ფორმის შეცვლა შესთავაზა და პრობლემის გადასაჭრელად მოლაპარაკების მაგიდასთან გადანაცვლებისკენ მოუწოდა.

ნაგავსაყრელი დაათვალიერეს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მოხდება მდგომარეობის შესწავლა, დაიწყება ტექნოლოგიური დასკვნის პირობების შემოწმება, რამდენიმე კვირაში დაიდება დასკვნა და შემდეგ პრობლემების გადასაჭრელად მინისტრს მიმართავენ. მოსახლეობა ნაგავსაყრელის გადატანას მოითხოვს. მათი თქმით, ნაგავსაყრელი აეროპორტიდან 7 კილომეტრითაა დაშორებული, მაშინ, როცა მინიმუმ 12 კილომეტრი უნდა იყოს დაშორება.

როგორც ორგანიზაციაში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები“ ამბობენ, ნარჩენების მართვის პრაქტიკა განსხვავებულია სხვადასხვა გეოგრაფიული თუ გეოპოლიტიკური მდებარეობისთვის და ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის პირდაპირპროპორციულია. მთელს მსოფლიოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვას ძირითადად უზრუნველყოფენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, რაც შეეხება კომერციულ და სამრეწველო ნარჩენებს, მათზე პასუხისმგებელი მწარმოებელია. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულია ნარჩენების ეფექტური მართვის შემდეგი მეთოდები – მყარი ნარჩენების ხელახალი გამოყენება; რეციკლირება-გადამუშავება; ნარჩენებისგან ენერგიის მიიღება; ნაგავსაყრელზე განთავსება. ამ მეთოდების გამოყენების შემდეგ მაინც რჩება გარკვეული რაოდენობის ნარჩენი, რომლის საბოლოო განთავსების ადგილი ასევე ნაგავსაყრელია, თუმცა ამ შემთხვევაში მათი რაოდენობა საგრძნობლად მცირეა, რაც იწვევს ნაგავსაყრელის მდგრადობას, ზრდის მისი ექსპლუატაციის ვადას და ამცირებს ნაგავსაყრელის გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას.

როგორც საქართველოს მწვანეთა მოძრაობაში ამბობენ, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის 80% მოდის მოსახლეობაზე, 15% – ბიზნესზე, 3% – ქუჩაში სტიქიურად დაყრილ ნარჩენებზე და დარჩენილი 2% ყველა სხვა წყაროზე. ნაგავსაყრელები ნარჩენების მართვის სფეროში ყველაზე პრობლემატურ საკითხად რჩება. საქართველოში რეგისტრირებული ყველა ოფიციალური ნაგავსაყრელი მუნიციპალურ საკუთრებაშია, შესაბამისად მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას მათ კანონიერებაზე, სანიტარიულ კონტროლსა და მოვლა-პატრონობაზე.

თითქმის ყველა ოფიციალური ნაგავსაყრელი საბჭოთა პერიოდიდან მოქმედებს და იმდროინდელ სტანდარტებსა და ნორმებს შეესაბამება, დღეისათვის კი უკვე მოძველებული და მიუღებელია. მთლიანობაში ოფიციალურად რეგისტრირებული 63 ნაგავსაყრელიდან მხოლოდ 22 ნაგავსაყრელია შემოღობილი, ისიც ზოგ შემთხვევაში „ნაწილობრივ“. მხოლოდ 16 ნაგავსაყრელს გააჩნია „ნორმალური“ მისასვლელი და შიდა გზა. დანარჩენ შემთხვევებში ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელია, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში.

არასამთავრობო სექტორი საქართველოში ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული პრობლემების ჩამონათვალს ასე აყალიბებს: არალეგალური, სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა; კერძო ნაგავსაყრელების არარსებობა; ნაგავსაყრელების ინფრასტრუქტურის არქონა – ღობე, დაცვა, შიდა გზა, სასწორი თუ სხვა დამხმარე ნაგებობები; შესაბამისი დოკუმენტაციის უქონლობა; სანიტარიულ წესებთან და ნორმებთან შეუსაბამობა; არასწორი მდებარეობა; გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უქონლობა; გარემოსდაცვითი კონტროლისა და მონიტორინგია უქონლობა და ნარჩენების აღრიცხვის არარსებობა. ამასთან, ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მხოლოდ მუნიციპალიტეტები პრობლემას ვერ მოერევიან. საჭიროა ნარჩენების მართვის ასპექტში მთელი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხების გადაწყვეტა-განხორციელებაში.

„იმერეთის გუბერნატორი და ქუთაისის მერი საქმეს დაიწუნა“

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ქუთაისს 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მაინცდამაინც არაფერი დასტყობია სასიჯეთო. პარლამენტი, სამხარეო ცენტრი, მერია და საჯიგბეღო ქალაქის პერსპექტივას ვერ ქმნის. ქალაქი ჯარგა ხნის დასამარებული იქნებოდა, სამოქალაქო პროტესტი ჩომ არ გამოეცხადებინათ ისეთ გაბედულ ადამიანებს, ჩოგორიც მწერალი ცირა ყუჩაშვილია.

– ქალბატონო ცირა, თქვენი უახლოესი წარსული რაღაც არაორდინალური იყო. ჯერ სამსახურიდან მოგხსნეს, მერე თქვენთვის უცნობ სამსახურშიც გაწყებინებდნენ მუშაობას, მერე აღდგენაც გააკეთეს პირვანდელ სამსახურში, მოგვიყევით ამის შესახებ.

– გასული წლის მაისის თვეში, როცა სააკაშვილის ვეტმფრენს ქუთაისის თავზე გამუდმებით გაუდიოდა გრუხუნი, ნაციონალების შიშით ბუზის გაფრენის ხმას ვერ გაიგონებდი, როცა სამსახურში, ქუჩაში ადამიანები ერთმანეთს ჩურჩულით აგებინებდნენ სათქმელს და სახლში ჩემი შვილებიც შიშით უყურებდნენ კედლებს, ქართული ოცნების წარმომადგენელთან (მაშინ ოცნების ერთ-ერთი ლიდერი ერქვა, ამჟამად მაჟორიტარი დეპუტატია) საკმაო რიცხოვნობის მოსახლეობით შეხვედრა გავმართეთ. მეორე დღეს ამავე უბანში ვანო მერაბიშვილმა გამართა აქტივთან შეხვედრა. აქიდან დაახლოებით ორ კვირაში სამსახურში მისულს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა გამომიცხადა, რომ გათავისუფლებული ვიყავი და ბრძანება გამომიწოდა. ვიკითხე მიზეზი, პასუხად მომიგო, რომ მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის ოპტიმიზაცია. იმ დღესვე პრესკონფერენცია გავმართეთ და მაქსიმალურად შევეცადე ამ ინფორმაციის ყველა დონეზე გაჟღერებას, თუ არ ვცდები, პენკლუბმაც გააზიარა დასავლელ მეგობრებში, მე ხომ მაშინ „საბას“ ნომინანტი ვიყავი. უცხოელ დამკვირვებლებსაც მივეცი ინტერვიუ, რომელთაც ჩაიწერეს ჩემი დირექტორის ტელეფონის ნომერი და დამპირდნენ, რომ დაურეკავდნენ. აქედან დაახლოებით ერთ თვეში თითქმის განუწყვეტლივ მიკავშირდებოდა მხარის გუბერნატორის პიარწარმომადგენელი და მთავაზობდა დახმარებას სამსახურთან დაკავშირებით. სიმართლე გითხრათ, ასე უპრაგონოდ გათავისუფლებულს და შეურაცხყოფილს, არავითარი სურვილი მქონდა ჩემი აღდგენა (მეგონა აღდგენას მთავაზობდნენ) მათი პიარკამპანიის ნაწილად მექცია, მერჩივნა არჩევნებამდე მომეცადა და მერე დავბრუნებოდი სამსახურს. თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ მათ თვითნებურად დაეწერათ ჩემი დანიშვნის ბრძანება ივლისის თვეში, ოღონდ არა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც ვმუშაობდი, არამედ ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში. რათქმაუნდა, ადამიანის ღირსების ამ აბუჩად ამგდებ და ასე მათ ჭკუაზე დანიშვნის ფაქტს ვერ შევეგუებოდი. გავიდა უმუშევრობის, დიდიარაფერიუფულობის, სამაგიეროდ შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი აქტივობის ხუთი თვე, ჩატარდა არჩევნები, ფეისბუქის სტატუსით შევატყობინე ბიბლიოთეკის დირექტორს, რომ ვბრუნდებოდი ჩემს სამსახურში და დავბრუნდი. მე ის ადამიანი ძალიან მეცოდებოდა, რადგან უშიშროების სამსახურიდან აიძულეს ჩემი გაშვება.

– ქალბატონო ცირა, ქუთაისში ყველა გიცნობთ, როგორც კარგ მწერალსა და მამა ანდრიას დას. რა ხდება თქვენკენ ახალი, შემოქმედებითი თვალსაზრისით?

– ვამზადებ ლექსების კრებულს, რომელიც თბილისში გამოიცემა, ვიმედოვნებ, მალე. შემოდგომაზე გამოსაცემად ვამზადებ ახალ მოთხრობათა კრებულს. დროდადრო ერთ ძალიან ღამაზად მოწყობილ საბავშვო ბიბლიოთეკასაც ვსტუმრობ და იქ ბავშვებს ახალ ზღაპრებს ვუკითხავ, თან ვურიგებ, რაც ძალიან მსიამოვნებს.

– ქართულ სინამდვილეში მწერლობას ჰქონდა ძალიან დიდი დატვირთვა. საზოგადოებრივი თვალსაზრისით შეიცვალა მწერლის დანიშნულება?

– თუ მწერლობას საზოგადოებაზე ზეგავლენის, ზნეობრივი აღზრდის საყრდენი გამოეცლება ის თავის უმთავრეს ფუნქციას დაკარგავს. მე, როგორც მკითხველს, ყველაფერი არ მაინტერესებს, ვმიჯნავ სულისა და ზნეობისთვის სასარგებლო და უსარგებლო ლიტერატურას. ყოველთვის გამორჩეული სულიერების მქონე ავტორთა ტექსტებს ვეძებ. პოეზიის უმთავრეს ნიშნად მშვენიერებას ვაღიარებ. მუდმივად დაფასება-გადაფასების პროცესში ვარ, თუმცა არის ერთი წიგნი, რომელსაც ვერასოდეს გადავდებ გვერდზე, ეს ოთხთავია.

– თქვენ ყოველთვის ცდილობთ ქუთაისის შესახებ წეროთ და თქვათ სიახლე. რას უწუნებთ იმერეთის დღევანდელ გუბერნატორს, მერიასა და საკრებულოს?

– მე არაფერს ვუწუნებ, ისინი საქმემ დაიწუნა. საზოგადოებამ, მოსახლეობამ დაიწუნა და უნდა შეეგუონ ამას, გააცნობიერონ და მშვიდად დატოვონ სავარძლები, აბა სანამდე უნდა იყვნენ საკუთარი მოსახლეობის ოპოზიციაში? სანამ უნდა შეაფერხონ ქალაქის განვითარება? სულ რომ თავი დავანებოთ ქუთაისის მერიაში ორჯერ და სამჯერ გაზრდილ-გაბერილ შტატებს, რომელთაც ათეულობით მილიონი ლარი შთანთქეს, განუსაზღვრელი რაოდენობის მანქანებს, ათეულ ათასობით ლარის საგასტროლიორ-,,საშოპინგო“ ხარჯებს, იმასაც, თუ წლების განმავლობაში როგორ გამოუსწორებლად დაუმახინჯა, დაუმუხრუჭა მომავალი ქუთაისს გუდაფშუტა ნაციონალთა ჯგუფმა და უბრალოდ ერთი პატარა ბოლოდროინდელი ფაქტი ავიღოთ, როგორ ახდენდნენ საკრებულო და მერია თანხის სასწრაფო მობილიზებას გაზრდილი ხელფასების და პრემიების სახით საკუთარ ჯიბეებში, დიდი ფსიქოლოგის აღღო არ სჭირდება, იმის გარკვევას, რომ სახეზეა ყაჩაღთა ჯგუფი, რომელიც დღისით, მზისით თან თვალებში უყურებს და თან ძარცვავს საკუთარ მოქალაქეებს, ძარცვავს კადნიერად, უტიფრად, უსირცხვილოდ. მაშინ, როდესაც გადასარჩენია ქალაქის სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამრეწველო მემკვიდრეობითი გამოცდილება, როცა ამ კერების ნამუსრევებში (სწორედაც ნამუსრევებში) მათხოვრულ ხელფასებზე მომუშავე ინტელიგენციას კბილებით უჭირავს სული და მაინც ქალაქს კულტურულ იერ-სახეს უნარჩუნებს, რომ ქუთაისი დამცრობილი და მწვანესახურავიანი ბაგრატიდან დანახულ ეთნოგრაფიულ მოვლენადღა არ დარჩეს, როცა ნაციონალთა ქუსლებით გასრესილია უპარტიო ახალგაზრდების ინიციატივა და სწრაფვა სიახლისკენ, ხეებივით ნაჯახით არის დაჩეხილი ქალაქის სააზროვნო პოტენციალი, რათქმაუნდა, ამ ყოველივეს შემდეგ არც საკრებულოს თავმჯდომარეს, არც მერს არა აქვს მორალური უფლება თავს თვლიდნენ ქალაქის წარმმართველებად. აუცილებლად უნდა გადადგნენ!

– ამბობენ, რომ მწერლები უფრო ფაქიზად აღიქვამთ სამყაროს. თქვენი დამოკიდებულება მტკივნეულ საკითხებზე მხატვრულ-ლირიული ხომ არაა?

– მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი გაქვთ მხედველობაში? ჩემში გამუდმებით ორი ძალის შეხლა-შემოხლაა, მოქალაქის და მწერლის, ორივე გამძაფრებული, ზოგჯერ ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდაც გადაკიდებული, ხან ერთმანეთის ხარჯზე გაძლიერებული, დროდადრო თანაარსადაც ქცეული. აღქმის ეს გამძაფრება მეტ ტკივილსაც იწვევს, მაგრამ ვცდილობ ეს წინაპართა გამოცდილებას, ჩემს სულიერ და ხორციელ ძმას, კომანში აღსრულებულ მამა ანდრიას, ასევე ჩემს ბერმონაზონ დედმამიშვილთა ცხოვრებას შევუდარო, ასე, რომ ყველაფერი რიგზეა.

კონსტიტუციაში საგარეო კურსი არ უნდა დაფიქსირდეს

ნათია ხურცილავა

სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ კონსტიტუციაში საგარეო კურსისა და ორიენტაციის დაფიქსირების აუცილებლობა და საჭიროება არ არსებობს.

– როგორც აქამდე არ იყო საჭირო კონსტიტუციაში საგარეო კურსის დაფიქსირება, ისევე არ არის ახლა ამის აუცილებლობა, – აცხადებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი.

სახელმწიფო მინისტრი ამ კომენტარით უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბაქრაძის ინიციატივას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც საგარეო კურსი ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა იქნეს ასახული.

ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ამით უმცირესობის წარმომადგენლებს მხოლოდ და მხოლოდ ქულების ჩაწერა უნდათ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, დღევანდელი ხელისუფლება უფრო მკაფიოდ და არა – პროპაგანდისტულად, არამედ საქმით აპირებს ევროპასთან ინტეგრაციას და ნატო-ში გაწევრიანებას, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ამის შესახებ ზაქარეიშვილმა მთავრობის კანცელარიაში „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ კანონპროექტი უნდა დამტკიცდეს.

– ვფიქრობ, რომ ამ ინიციატივით მათ მხოლოდ და მხოლოდ ქულების ჩაწერა უნდათ. ისევე, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არ იყო აუცილებელი კონსტიტუციაში ამის შეტანა, არც ახლა ვხედავთ ამის აუცილებლობას. დღევანდელი ხელისუფლება უფრო მკაფიოდ, ცალსახად, არაპოპულისტურად, არა პროპაგანდისტულად, არამედ საქმით აპირებს ევროპასთან ინტეგრაციას, ნატო-ში გაწევრიანებას, ვიდრე ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. ამიტომ, კონსტიტუციაში ჩაიწერება თუ არ ჩაიწერება, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც აქამდე არ ჰქონია, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ჟურნალისტებთან საუბარში პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მთავარია საქართველოს ნება, რომელიც საქართველოს ნატო-სკენ და ევროკავშირისკენ სწრაფვაა.

პრეზიდენტს უფლებები უნდა შეეზღუდოს!

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მას დაეთანხმა ვენეციის კომისიის პრეზიდენტი, რომ საქართველოს პრეზიდენტს გადაჭარბებული უფლებები გააჩნია.

– საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ყოველთვის მოვახდენთ შეთანხმებას ვენეციის კომისიასთან, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოსთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

პრემიერის განმარტებით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე ფართო დისკუსიები გაიმართება.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბუკიკიო მიესალმება პრეზიდენტის გადაჭარბებული უფლებების შეზღუდვას.

– ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა. ბევრი ვისაუბრეთ კონსტიტუციაში შესატანი იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც აუცილებელია, რომ გატარდეს. მე დავარწმუნე ბატონი პრეზიდენტი, რომ აუცილებლად ფართო დისკუსიებს გავმართავთ ყველა საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით და ყოველთვის მოვახდენთ შეთანხმებას ვენეციის კომისიასთან, რათა პარლამენტში გავიტანოთ და კონსტიტუცია შევცვალოთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის განმარტებით, ვენეციის კომისიის ხელმძღვანელი დაეთანხმა მას, რომ საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია გადაჭარბებული უფლებები და საჭიროა ამ უფლებების ლიმიტირება.

– შევთანხმდით, რომ პრეზიდენტს აქვს არანორმალურად გადაჭარბებული უფლებები და მისი დაბალანსება აუცილებელია. ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ამ ცვლილებებს მიესალმება და აფიქსირებს, რომ გასაგები და მისაღებია ეს ყველაფერი, – აღნიშნა პრემიერმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, როგორც თავად, ასევე ვენეციის კომისია ფიქრობს, რომ საქართველოში ყველა გავლენისგან თავისუფალი და დამოუკიდებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა იყოს.

ამის შესახებ წულუკიანმა გუშინ სამინისტროში ვენეციის კომისიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მინისტრის თქმით, საუბრის ძირითადი თემა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტი და, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყო.

– პირველი მოსაზრებები, რაც მოვისმინეთ, მიუთითებს იმაზე, რომ როგორც ჩვენ, ასევე ვენეციის კომისია ფიქრობს, რომ საქართველოში ყველა გავლენისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა არსებობდეს და ჩვენი რეფორმა სწორედ ამას ითვალისწინებს, – განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება დეტალებს, მინისტრის თქმით, ეს უკვე საექსპერტო დონეზეა განსახილველი.

– და ამას განვიხილავთ თებერვლის პირველ კვირაში, როდესაც ვენეციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვა, – განაცხადა წულუკიანმა.

თეა წულუკიანმა კომენტარი ასევე გააკეთა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის თინა ბოკუჩავას მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ ახალი ხელისუფლება შერჩევით სამართალს ამკვიდრებს ქვეყანაში. კონკრეტულად წულუკიანის რეფორმა სწორედ ამას მოიცავს. იუსტიციის მინისტრი კი დეპუტატს მარტივად პასუხობს: საქართველოში შერჩევითი სამართალი არ არსებობს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა ვენეციის კომისიის ხელმძღვანელმა ჯანი ბუკიკიომ.

მისი თქმით, საუბრის თემა სასამართლო რეფორმა იყო.

ბუკიკიოს განმარტებით, უნდა მოხდეს ფართო კონსენსუსის მიღწევა და რეფორმაც ამ კონსენსუსის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

ბუკიკიოს თქმით, საქართველოში ვიზიტის მიზანია იმის გაგება, შეძლებს თუ არა ვენეციის კომისია, ისევე წარმატებით იმუშაოს ახალ ხელისუფლებასთან, როგორც ეს აქამდე, წლების განმავლობაში ხდებოდა. მისივე თქმით, აუცილებელია, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა კოაბიტაციის პირობებში, პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე შეძლონ თანამშრომლობა.

ვენეციის კომისიის პრეზიდენტის თქმით, კომისიის დასკვნა ორ კანონპროექტზე – ამნისტიის შესახებ და საერთო სასამართლოების შესახებ – 9 მარტისთვის იქნება მზად.

ჯანი ბუკიკიო აღნიშნავს, რომ მას ესმის, თუ რატომ იჩქარა პარლამენტმა და მიიღო კანონი ამნისტიის შესახებ ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე.

ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს პარლამენტი დაელოდება კომისიის რეკომენდაციებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საკანონმდებლო ცვლილებებს სასამართლოებთან დაკავშირებით. ჯანი ბუკიკიოს თქმით, ვენეციის კომისიას ამ ეტაპზე სასამართლოებთან დაკავშირებით ორი ძირითადი რამ აწუხებს, ეს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი და მისი წევრების მანდატის ამოწურვის საკითხი.

ჯანი ბუკიკიო ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავს, რომ, მისი მოსაზრებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის უნდა იყვნენ მოქმედი მოსამართლეები, თუმცა, არა – დიდი რაოდენობით. ის ასევე დაკომპლექტებული უნდა იყოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოცდილი იურისტებით. ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ახალი კანონის მიღებისთანავე უფლებამოსილება არ უნდა შეუწყდეთ საბჭოს ახლანდელ წევრებს, რადგან ეს ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპებს, ხოლო ახალი წესით იუსტიციის საბჭო მხოლოდ მათი მანდატის ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაკომპლექტდეს.

ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ ასევე ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებები მიღებული უნდა იყოს ყველა პოლიტიკური ძალის კონსენსუსის შედეგად და მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალას შორის მიღწეულ შეთანხმებას არ უნდა ეფუძნებოდეს.

ჯანი ბუკიკიომ შეხვედრა გუშინ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც გამართა. შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტზე და პარლამენტის მიერ მიერ ცოტა ხნის წინ მიღებულ კანონზე იმსჯელეს.

შეხვედრას ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან ბუკიკიომ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– აუცილებელია, შეიცვალოს კონსტიტუცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული და მოხდეს ლიმიტირება სახელმწიფო მეთაურის ძალაუფლებისა, რომელიც აძლევს მას უფლებას, დაითხოვოს მთავრობა და აირჩიოს ახალი მთავრობა პარლამენტის თანხმობის გარეშე. მე მოვითხოვდი, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში კეთდება, კონსენსუსის შედეგად გაკეთდეს. საქართველოში ბევრი კარგი ადამიანია, ბევრი სპეციალისტი და კარგი იურისტი, კარგი სამოქალაქო საზოგადოება, ამდენად, ამ ხალხს შეუძლიათ ერთად მუშაობა ქვეყნისთვის საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად, – განაცხადა ჯანი ბუკიკიომ.

დავით ასათიანი, ადვოკატი:

– ბატონ ბუკიკიოსთან საუბარი შეეხებოდა ძირითადად სასამართლო რეფორმის საკითხებს. თუმცა, ასევე შევეხეთ ამნისტიის თემასაც. ბატონმა ბუკიკიომ გამოთქვა სურვილი და შესაძლებლობა იმისა, რომ არსებობს ადგილი მოლაპარაკებებისთვის და ის სადისკუსიო საკითხები, რაც არსებობს სასამართლო ხელისუფლებას იუსტიციის სამინისტროს შორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას შორის მათი პოზიციები შეიძლება დაახლოვდეს, რაც, მისი თქმით, ძალიან გაახარებს მას. ასევე შევთანხმდით, რომ უახლოეს მომავალში, ერთ კვირაში ჩამოდის სამუშაო ჯგუფი კონკრეტულ საკითხებზე, სადაც დეტალურად იქნება განხილული სასამართლო რეფორმის ნიუანსები.

ნინო ლომჯარია, „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი:

– როგორც ჩანს, ვენეციის კომისიის მხრიდან არის განსაკუთრებული ინტერესი განსაკუთრებით სასამართლო რეფორმის მიმართ. მათი დაინტერესებაა, რომ სასამართლო რეფორმა წარიმართოს ისე, რომ ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი იყოს ეს პროცესი.

სტრასბურგული ცრემლები ანუ ღრმად ისუნთქეთ, თქვენ აღელვებული ხართ

– ამხანაგო ტრეუხოვ, ილაპარაკეთ, თქვით რამე...

– იცით მე ისეთ უხერხულ მდგომარეობაში...

– მშვენიერია! კარგია! კიდევ! კიდევ ილაპარაკეთ! უფრო ღრმად ისუნთქეთ, – თქვენ აღელვებული ხართ! ასე, ასე... კარგია... დიდად გმადლობთ!.. სდექ!..

გავრილინი მძიმედ ჩამოვიდა მოთუხთუხე „ფიატიდან“ და ტრეუხოვთან მივიდა. წვეროსანი რეჟისორი გამოცოცხლდა.

– კოლია! აქეთ! მშვენიერი ტიპაჟია! უფრო ღრმად ისუნთქეთ: თქვენ აღელვებული ხართ. დავიწყეთ!

ილია ილფი; ევგენი პეტროვი; თორმეტი სკამი

„წვეროსანი რეჟისორების“ დეფიციტი, როგორც ჩანს, არც ევროპაში შეინიშნება, რადგან მსოფლიოს ამ „ბებერ ნაწილში“, როგორც წესი, საჭიროების შემთხვევაში ხშირად პოულობენ „შეშფოთების“ თუ „აღშფოთების“ მიზეზებს.

საქართველოსთან მიმართებაში ევროპელებმა შეშფოთების ბოლო მიზეზი ამ რამდენიმე დღის წინ აღმოაჩინეს.

კონკრეტულად კი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, ევროპა საქართველოში მედიის მდგომარეობით და ყოფილ ჩინოვნიკთა მასობრივი დაკავებებით ყოფილა შეშფოთებული.

ჩვენი დასავლელი მეგობრების (როგორც ამას მიხეილ სააკაშვილი იტყოდა) აღშფოთების მიზეზი, საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსთა სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის შესვლა გამხდარა.

საქმე ეხება იმ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელსაც მეც და თქვენც ძვირფასო მკითხველო, ჩვენი ჯიბიდან წელიწადში 50 მილიონს ვუხდით.

ჩვენი დასავლელი მეგობრებიც სწორედ ამ 50 მილიონის განკარგვის სამართლიანობის შემოწმებას შეუშფოთებია. ანუ ეს ფაქტი ევროპაში მედიაზე ზოწოლის გამოვლინებად აღიქვეს და მის შესახებ სათანადო რეზოლუციაში, თავიანთი პოზიციაც დააფიქსირეს.

არ ვიცი, რამდენად საინტერესოა ჩვენი დასავლელი მეგობრებისთვის ჩვენი აზრი, მაგრამ ალბათ უპრიანია, რომ მათ, საქართველოს უახლესი ისტორიიდან, კონკრეტულად კი, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ მომხდარი მხოლოდ რამდენიმე ფაქტი შევახსენოთ:

– „ვარდების რევოლუციის“ მოხდენიდან რამდენიმე დღეში, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მთაწმინდის ანძიდან, მაუწყებლობა გაუთიშეს ტელეკომპანია „კავკასიასა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ მათ, მაშინდელი სოციალისტური პარტიის ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის ცემის კადრები, ეთერში დაუმონტაჟებლად გაუშვეს. ხოლო ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტს ვანო მერაბიშვილმა მაშინ პირდაპირ უთხრა, ოფისში მოგივარდებითო. ეს კადრები ეთერში მოხვდა.

– 2004 წლის 9 თებერვალს, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციამ გააპროტესტა ტელევიზიებში საავტორო გადაცემებისა და პოლიტიკური თოქშოუების დახურვა.

– 2004 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ტელეკომპანია „მზეზე“ დაიხურა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართველი ჟურნალისტის საავტორო გადაცემა.

– 2004 წლის 19 თებერვალს, სპეცდანიშნულების რაზმები შევიდნენ „ომეგა-ჯგუფის“ ოფისებში. მათ დაიკავეს გაზეთ „ახალი ეპოქისა“ და ტელეკომპანია „იბერიას“ ოფისებიც.

– 2004 წლის დასაწყისშივე პრესის მეშვეობით გახმაურდა ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ თანამშრომლების შესაძლო გაფიცვის ამბავი, გაფიცვის მიზეზად კი ცენზურა სახელდებოდა.

– 2004 წლის თებერვალში უკვე დახურულია გადაცემები – „ღამის კურიერი“, „ღამის მზერა“, „რა ხდება“, „ტაიმ-აუტი“.

– საავტორო პროექტებისა და პოლიტიკური თოქშოუების დახურვის გამო 2004 წლის დასაწყისში პარლამენტში, არჩილ გოგელიას ხელმძღვანელობით სპეციალური საგამოძიებო კომისიაც კი შეიქმნა, რომელსაც მედიაზე ზეწოლის ფაქტები უნდა გამოეძიებინა.

– 2004 წლის 27 თებერვალს, ვერის ბაღში გაიმართა ტელეკომპანია „იბერიას“ მხარდასაჭერი რამდენიმე ათასკაციანი მიტინგი.

– 2004 წლის თებერვლის ბოლოს სამსახურიდან დაატოვებინეს პირველი არხის 800 თანამშრომელს.

– 2004 წლის 26 მარტს ეუთომ გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც მითითებული იყო, რომ „რუსთავი2“ და „პირველი არხი“ აშკარად ტენდენციურობას იჩენდნენ სახელისუფლებო ბლოკის მიმართ საპარლამენტო არჩევნების წინ.

-2005 წელს, ინგლისიდან სპეციალურად მოწვეულმა მედიაექსპერტმა შაჰიდა ტულაგანოვამ, ქართულ ტელებაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ შემაძრწუნებელი დასკვნა დადო.

– დაახლოებით ამავე პრეიოდში, საკუთარი ოფისებიდან გამოაძევეს რამდენიმე ასეული ბეჭდური მედიასაშუალება.

– 2007 წელს კი, მსოფლიო უპრეცედენტო ფაქტის მომსწრე გახდა. სახელისუფლო, კბილებამდე შეიარაღებულმა სპეცრაზმმა, იერიში მიიტანა დამოუკიდებელ ტელეკომპანიაზე, ძალის გამოყენებით აიღო მისი შენობა, ასევე ძალის გამოყენებით გაუთიშა მას ეთერი, ხოლო ჟურნალისტები (მათ შორის ორსული გოგოებიც) იატაკზე დაყარა და ხელკეტებით სცემა.

ბატონო ევროპელებო, ქართველ ხალხს ნაკლებად ახსოვს თქვენი მოთქმა-გოდება ქართული ჟურნალისტიკის ბედზე იმ წლებში. უფრო მეტიც, თქვენ მაშინ საქართველოს დემოკრატიის მექად ასაღებდით და ნაკლებად გაინტერესებდათ, რომ რედაქციის შენობის წინ, გამოყრილი ჟურნალისტები შიმშილობდნენ.

დღეს კი, იმის გამო, რომ საზოგადოება დაინტერესდა, თუ სად მიდის მის მიერ ყოველწლიურად გადახდილი 50 მილიონი, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს ერიცხება, თქვენ განგაშის ზარებს შემოჰკარით და მაპატიეთ მაგრამ, საქართველოში არსებული მედიათავისუფლების ხარისხის შესახებ ნიანგის ცრემლები გადმოყარეთ.

მახსოვს როგორ ელოდებოდა ქართველი საზოგადოება თქვენს რეაქციას მაშინ, როცა ჟურნალისტთა უფლებები საქართველოში, მართლაც რომ ფეხით ითელებოდა, მაგრამ იმ პერიოდში თქვენ რატომღაც საეჭვოდ სდუმდით.

ასევე მინდა ქართული მედიაგარემოს თავისუფლების „ჭირისუფალ“ ზოგიერთ დასავლელ მეგობარს ვუთხრა, რომ იგივე საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჯერ კიდევ „სახელმწიფო ტელევიზიად“ წოდებული, რომლის ბიუჯეტიც სულ რაღაც 4 მილიონი ლარი იყო და ამ თანხასაც საბიუჯეტო კრიზისის გამო სრულად ვერც იღებდა, – გაცილებით უფრო საინტერესო გადაცემებს ამზადებდა და გაცილებით უფრო ობიექტური საინფორმაციო გამოშვება ჰქონდა.

გასაგებია, რომ დღეს ჯერ კიდევ მუშაობენ ყოფილი ხელისუფლების ემისრები დასავლეთში, რომლებიც ცდილობენ და ქვეყანაში დიქტატურის მოახლოების სურათს ხატავენ, მაგრამ „ბებერ ევროპას“ სავარაუდოდ, რეალური სურათის ამსახველი ფაქტებიც ექნება სადმე თაროზე შემოდებული და დროა მათ მტვერი გადაეცალოს, რადგან მიხეილ სააკაშვილის მიერ 2003 წლის შემდეგ დაწყებული პერმანენტული პროცესი – შეეძულებინა ქართველი ხალხისთვის ყველაფერი დასავლური, მათ შორის დემოკრატიაც, ადამიანის უფებებიც და კულტურაც, – დღესაც წარმატებით გრძელდება და რაოდენ გასაოცარი და სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამას ხელს თავად დასავლეთი უწყობს.

აქედან გამომდინარე, სულ მალე დასავლეთს შეიძლება სხვა რეალობასთან მოუწიოს შეგუება. ისინი ხშირად აცხადებენ, რომ ქართველი ხალხის არჩევანს პატივს სცემენ, ქართველმა ხალხმა კი შეიძლება სულ სხვა რამე აირჩიოს და მისგან სულ სხვა დაკვეთა წამოვიდეს. შემდეგ ეს ნურავის ნუღარ გაუკვირდება.

ალეკო ჩუბინიძე
სააგენტო „ნიუსპრესი“

დოპინგის მიღების გამო 9 სპორტსმენი დაისაჯა

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2011-12 წლებში გამოვლინდა და დადასტურდა საქართველოს სპორტსმენთა მიერ სხვადასხვა აკრძალული სამედიცინო პრეპარატის გამოყენების არაერთი შემთხვევა.

საშეჯიბრო თუ არასაშეჯიბრო ტესტირების შედეგად, დოპინგმიღებულ და სანქცირებულ სპორტსმენთა შორის მოხვდნენ თენგიზ პაპოშვილი (ძიუდო), ბესარიონ გუჩაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო), მერაბ კაკაბაძე (მკლავჭიდი), ირაკლი გამთენაძე (მკლავჭიდი), შოთა ომარაშვილი (ფაუერლიფტინგი), მიხეილ სუჯაშვილი (რაგბი), ბენიკ აბრამიანი (მძლეოსნობა) და გიორგი შეყლაშვილი (ფაუერლიფტინგი).

სამწუხაროა, რომ წარსულის მეტად მძიმე გამოცდილების მიუხედავად, როცა სწორედ დოპინგის მიღების გამო, ჩვენი რამდენიმე ცნობილი თუ პერსპექტიული სპორტსმენი სამუდამოდ ან რამდენიმე წლით ჩამოშორდა აქტიურ სპორტს, ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია.

დოპინგის გამოყენების ფაქტების მზარდი და მეტად საგანგაშო სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს და გაფართოვდეს ანტიდოპინგური საქმიანობა, გატარდეს კონკრეტული პრევენციული ზომები, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს აკრძალული ნივთიერებების და პროცედურების გამოყენება. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, დოპინგის მიღების ყოველი ფაქტის გამომზეურება, ადეკვატური სანქციის დაწესება და ამ თემაზე ფართო დისკუსია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოუწოდებს სპორტულ ფედერაციებს და კლუბებს, სპორტული გუნდების ექიმებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ზუსტად შეასრულონ მსოფლიოს ანტიდოპინგური კოდექსის მოთხოვნები და დაიცვან პატიოსანი შეჯიბრების წესები.

„ზესტაფონს“ ესპანელმა თურქეთში ჩააკითხა

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრესსამსახურის ცნობით, თურქულ სიდეში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ზესტაფონელების ბანაკს დღეს კიდევ ერთი ფეხბურთელი შეუერთდა. 31 წლის ესპანეთის მოქალაქე ორიოლ ლოსანო გახლავთ ცენტრალური მცველი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ესპანეთის პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე სანტანდერის „რასინგის“ ღირსებას იცავდა.

კატალონიაში დაბადებული ორიოლ ლოსანო ფარანის პირველი კლუბი ესპანეთის სწორედ ამ მხარის წარმომადგენელი „ლეიდა“ გახლდათ – ფეხბურთელმა აქ 1997-01 წლებში იასპარეზა. შემდეგ იყო ნაკლებად ცნობილი კლუბები „ონდა“ და „ჰოსპიტალეტი“, რასაც 2003 წელს სანტანდერის „რასინგში“ დაწინაურება მოჰყვა...

მთიელთა („რასინგის ერთ-ერთი ზედმეტსახელია „მწვანე-თეთრებთან“ ერთად) შემადგენლობაში ორიოლ ლოსანომ 7 წლის მანძილზე (2003-10 წლებში) იასპარეზა და ამ დროის განმავლობაში პრიმერადივიზიონში 119 შეხვედრის გამართვაც მოასწრო. ლოსანოს, რომლის სათამაშო ამპლუა ცენტრალური მცველი გახლავთ, პრიმერაში ერთი გოლიც აქვს გატანილი – სწორედ მისმა გოლმა გაამყარა კანტაბრიელთა უპირატესობა 2007 წლის 17 მაისს „მესტალიაზე“ ადგილობრივ „ვალენსიასთან“ 2:0 მოგებულ შეხვედრაში.

2010-11 წლების სეზონში ფეხბურთელი საბერძნეთში, „არისში“ ასპარეზობდა და გუნდს უეფას ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაშიც დაეხმარა, ხოლო ბოლო სეზონი სეგუნდა-დივიზიონელ „მურსიაში“ გაატარა.

იმერული კლუბისა და ესპანელი ფეხბურთელების სამომავლო ურთიერთობათა საკითხი ოდნავ მოგვიანებით გაირკვევა.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

ნაციონალების უმრავლესობა ერთი ცნობიერების ხალხია

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ ეკონომიკის დოქტორ დიმიტრი შარაშენიძესთან



– ბატონო დიმიტრი, თქვენ 2003 წელს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებით იყო დაკავებული და ხართ ავტორი იმ დოკუმენტისა, რომელშიც გაანალიზებული იყო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მთავრობაში დიდი დაპირისპირება გამოიწვია. რას იტყვით ახალ მთავრობასა და დღეს არსებულ მდგომარეობაზე?

– ხალხს ენატრება ისეთი ხელისუფალი, რომელიც ამა თუ იმ საკითხზე მასთან მისულს გულთბილად შეხვდება, ადამიანურად დაელაპარაკება და თხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც ჩათვლის, რომ მას საქმე ჰქონდა თავაზიან და არა გულგრილ ადამიანთან. ეს არის უპირველესი პირობა, შემდეგაა მისი პროფესიონალიზმი და სხვა. მთავრობა მთლიანობაში მისაღებია და საზოგადოებრივი აზრიც ამაზე მეტყველებს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ქვეყნის წინაშე მისი ვალდებულებების მასშტაბებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი საკითხების რეალიზაცია მის პირად პასუხისმგებლობასა და პირად გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული. მთავრობის ამჟამინდელ საქმიანობას მთლიანობაში დადებითად ვაფასებ. მისასალმებელია, რომ მთავრობამ სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა დემოკრატიის საფუძვლების განმტკიცებაზე. სწორია, რომ აქცენტი გაკეთდა კერძო საკუთრების დაცვაზე, როგორც დემოკრატიის ბაზისზე. ჩემი გადასახედიდან ბიძინა ივანიშვილმა იცის, რას ნიშნავს ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარება. ამიტომ იგი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ კერძო საკუთრება, ბიზნესი ხელშეუხებელი უნდა იყოს, იგი დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ კანონმდებლობით, არამედ რეალურადაც. აქ საუბარია სწორ და კონკურენტულ ბიზნესზე და არა ყაჩაღობით და დაშანტაჟებით წართმეული ბიზნესისა და საკუთრების დაცვაზე. უქონელი და უუფლებო საზოგადოება ვერასოდეს გახდება დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, შესაბამისად, ვერ იქნება თავისუფალი მისი აზრის გამოხატვაში. სამწუხაროდ, ასეთი იყო მავანთა ფილოსოფია, რომელმაც საზოგადოების მართვის წესად გაიხადა.

– თქვენი აზრით, საზოგადოების მართვის რომელი სტილის დანერგვა სურდათ ნაციონალებს?

– რა თქმა უნდა, ავტორიტარულის, რაც მოახერხეს კიდეც. საზოგადოების მართვის სადავეები, პრეზიდენტის მეთაურობით, რამდენიმე კაცმა ჩაიგდო ხელში, რომლებმაც სრულად უარყვეს პროფესიონალიზმი და საკუთარი შეხედულებების მიხედვით ,,მართავდნენ“ ქვეყანას. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოკიდებული ყოფილიყო ხელისუფლებაზე, სოფელი განადგურებულიყო, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დასაქმებული. ამასთან, გააუქმეს თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თუ ლაბორატორია, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა. ამით ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დეფიციტი, რამაც გააძვირა იგი. დეფიციტის დაფარვის მიზნით საჭირო გახდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის იმპორტის განხორციელება. იმპორტს ვინ განახორციელებდა, თუ არა არსებულ რეჟიმთან დაახლოებული ბიზნესმენები (თუ რა ხარისხისა და შემადგენლობის პროდუქცია იქნა შემოტანილი, ეს სხვა საუბრის თემაა და ახლა არ შევეხებით). არსებული მონაცემებით, ბოლო რვა წელიწადში საქართველოში იმპორტირებული იქნა 10 მილიარდი ლარის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამ სფეროსთან ახლო მყოფი ადამიანების შეფასებით, იმპორტიორთა წმინდა მოგება დაახლოებით 40-50% უნდა იყოს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბოლო წლებში განხორციელებული მიწების გასხვისების პრაქტიკა. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ძალზე მაღალი უმუშევრობის გამო მოსახლეობის 2/3 სოციალურად დაუცველია (არა აქვთ საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული პროდუქტებისა და მომსახურების შეძენის შესაძლებლობა), უცხოელებზე 99 წლის ვადით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ათასობით ჰექტარი სასოფლო დანიშნულების მიწის ფართობის იჯარით გაცემა მავნებლობაა და მეტი არაფერი. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ სოფლად ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და სოფლის გაძლიერების ნაცვლად, უგუნური პოლიტიკის გატარებით (სასუქების, შხამქიმიკატების, საწვავის ფასის მკვეთრი ზრდის მაკომპენსირებელი ღონისძიებების გაუტარებლობით) ერთ დროს აღზევებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაჩანაგებამდე მიიყვანა. გლეხი თვითონ ძლივს ინახავდა საკუთარ ოჯახს და გასაყიდად თითქმის ვერაფერი გაჰქონდა. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. დღეს ქვეყანას, რომლის მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდიდესი უმრავლესობა ქვეყნის გარედან შემოაქვს. მისასალმებელია პაატა კოღუაშვილისა და ამ დარგის სხვა ცნობილი სპეციალისტების პრესისა და მედიის საშუალებებით გაკეთებული ხშირი კომენტარები, მაგრამ, კარგი იქნებოდა, თუ ყველაფერი ეს ერთ დოკუმენტად შეიკვრება, რათა მოსახლეობას ჰქონდეს სრული წარმოდგენა, თუ რა მოხდა ამ დარგში. ასევე იგი აუცილებლად გახდება საჭირო, როცა მოხდება მთლიანობაში ნაციონალური მოძრაობის ,,მოღვაწეობის“ ცხრაწლიანი პერიოდის შეფასება.

– როგორ ფიქრობთ, ნაციონალური მოძრაობა პოზიციებს ადვილად დათმობს?

– როგორც ვხედავთ, ისინი არაფრის დათმობას არ აპირებენ. მათ პირწმინდად წააგეს არჩევნები (მათ მიერ მიღებული ხმების დიდი ნაწილი არჩევნების გაყალბების შედეგია), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ მოიყვანთ ერთ ფაქტსაც კი, როცა ნაცმოძრაობის ლიდერებს ან თუნდაც რიგით წევრებს გამოეთქვათ თუნდაც მცირე სინანული იმ დანაშაულების თაობაზე, რომლებიც ჩადენილი აქვთ. არავითარი ამგვარი. პირიქით, მათ მისაღებად მიაჩნიათ, ამ გაღატაკებულ ქვეყანაში პრეზიდენტის განკარგულებაში იყოს საჰაერო ტრანსპორტის არაერთი საშუალება, რეზიდენციები, სარეზერვო ფონდების არადანიშნულებით ხარჯვა და სხვა. გასულ წელს გერმანიის კანცლერმა, რომლის ქვეყანაც ეკონომიკური პოტენციალით მეოთხეა მსოფლიოში, ვერ მისცა თავს უფლება, იტალიაში დასასვენებლად წასულს, მეუღლეც თან წაეყვანა სახელმწიფო თვითმფრინავით, რომელიც ჩვეულებრივი რეისით ჩაფრინდა. იმ სამკურნალო– დასასვენებელ კურორტზე აპარტამენტებიც იყო, მაგრამ იგი მეუღლესთან ერთად ჩვეულებრივ ნომერში ცხოვრობდა. აი, ეს არის სახელმწიფოებრივი მიდგომა, აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ პირველ პირს არ უნდა ჰქონდეს სხვა ჩინოვნიკზე უკეთესი სამუშაო თუ საცხოვრებელი პირობები, მაგრამ მან ზომა უნდა იცოდეს. ჩვენი დიდი თანამემამულე იტყოდა: „მერუ ნადო ზნატ“. ამ პოსტულატის იგნორირებამ ნაციონალები თითქმის ყველა სფეროში მიიყვანა იმ შედეგამდე, რომ მოსახლეობამ არა მარტო უარი უთხრა მათ ქვეყნის მართვაზე, არამედ მათ გასამართლებასაც ითხოვენ.

– როგორ ფიქრობთ, ნაციონალებს გააჩნიათ რაიმე რესურსი, რომ იფიქრონ უკან დაბრუნებაზე?

– რეალობაა ის, რომ ისინი რევანშისთვის ემზადებიან. ეს უკვე ნათლად ჩანს, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება. რამდენად აიხდენენ ამ ოცნებას, ეს სხვა საქმეა. მათ მყარად აქვთ გამჯდარი ოცნება, დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ეს ძალაუფლების თუ პრივილეგიების დაკარგვითაა გამოწვეული ან პასუხისმგებლობის შიშით, ეს სხვა მსჯელობის საგანია, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მათ ნამდვილად აქვთ რევანშის, დაბრუნების უალტერნატივო სურვილი. რა რესურსი გააჩნიათ, ეს უკვე დასათვლელი და გასაანალიზებელია. ჩემი აზრით, უპირველესი რესურსია ის, რომ მათ აქვთ დიდი რაოდენობით კაპიტალი, მათ ხელშია მთელი სასამართლო სისტემა და რეგიონული ხელისუფლება (სახელმწიფო რწმუნებულების აპარატი, ადგილობრივი თვითმმართველობები). გარდა ამისა, ნაციონალების უმრავლესობა თითქმის ერთი ცნობიერების ხალხია. მათ ჰყავთ გულშემატკივრები დასავლეთში, რომელთა ერთი ნაწილი რეპუტაციის გადარჩენას ცდილობს, მეორე ნაწილისთვის მთავარია, ნაციონალებმა გააგრძელონ აქტიური ბრძოლა და დაბრუნების შემთხვევაში ისევ გააგრძელონ ძველი, ურთიერთხელსაყრელი ფინანსური ურთიერთობები. მესამე ნაწილს ორივე ზემოაღნიშნული აინტერესებს. ნაციონალები აკონტროლებენ მასმედიის საშუალებებს, რომელთა ინფორმაცია სცდება ყოველგვარ ჟურნალისტურ ეთიკას. ამასთან, ჩემი აზრით, ნაციონალებს დაქირავებული ჰყავთ საკმაოდ მცოდნე და გამოცდილი მრჩევლები, კონსულტანტები. ალბათ, მათი ნახელავია კონსტიტუციაში ჩადებული ამდენი ნაღმი, თუნდაც პრეზიდენტის განუკითხავი ოდენობის უფლებამოსილებები, ათი თვით გაგრძელებული საპრეზიდენტო ვადა და ა.შ.

– რატომ ფიქრობთ, რომ ეს ნაციონალების მრჩეველთა ნახელავია?

– გადაჭრით ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეა. თუ გადავხედავთ 2012 წლის წინა საპარლამენტო არჩევნებისთვის ნაციონალების მიერ გაკეთებულ გამოსვლებს, განცხადებებს იმის შესახებ, რომ მათი მოღვაწეობის პერიოდში როგორ გამოვიდა ქვეყანა სიბნელიდან და როგორ აპირებენ მის აყვავებას, ამით ცალსახად მიანიშნებდნენ საზოგადოებას, რომ ამისთვის აუცილებელია ჰქონოდათ საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ დაუშვეს თეორიული ვარიანტიც, რომ ხომ შეიძლება მოხდეს გაუთვალისწინებელი რამ, გაყალბებულ საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვეს მღელვარება მოსახლეობის მხრიდან, რომელმაც შეიძლება მიიღოს პერმანენტული ხასიათი და გაგრძელდეს იანვრამდე – საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რითაც გაღრმავდებოდა დაპირისპირება და საჭირო გახდებოდა გაყალბების უფრო მაღალ ხარისხში აყვანა. ეს კი მათ არ აწყობდათ, რადგან ისინი შემჩნეული იყვნენ გაყალბებებში და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიუთითებდა ამაზე. ამიტომ ასეთ სიტუაციაში არ აწყობდათ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, შესაბამისად, გაუჭირდებოდათ ორი გაყალბებული არჩევნების დაცვა. ამიტომ, მათი გათვლებით, ამ ეტაპზე დასჯერდებოდნენ საპარლამენტო არჩევნების შედეგს. დარჩენილ ათ თვეში ჩაფარცხავდნენ ყველაფერს და ამის შემდეგ ჩაატარებდნენ ახალ საპარლამენტო არჩევნებს და მიიღებდნენ სასურველ შედეგს. ჩემი გადასახედიდან ეს ვარიანტი სწორად გათვალეს. მაგრამ მათ ვერ გათვალეს ერთი რამ და მთავარი, ივანიშვილის ფაქტორი. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიყვანა მწყობრიდან ნაციონალები და დადგნენ რეალური კრახის წინაშე. სწორედ ამან უბიძგა მათ იმ პრიმიტიული დანაშაულებისკენ, რომელიც მათ ჩაიდინეს წინასაპარლამენტო არჩევნების პერიოდში.

– რა საკითხებია ისეთი, რომლებზეც მთავრობამ უფრო მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება?

– მე ამ კითხვაზე სრულყოფილად ვერ გაგცემთ პასუხს, რადგან არ გახლავართ პოლიტოლოგი ან ექსპერტი. თქვენი თხოვნიდან გამომდინარე, შევეცადე, რიგ საკითხებზე ჩემი მოსაზრებები გადმომეცა. რამდენად შევძელი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რეალური მდგომარეობა არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. ნაციონალების მხრიდან ოპერატიულად მიდის რეგიონებში ბევრი მცდარი, ყალბი ინფორმაცია, რომლის გავრცელებაში ჩართული არიან წინა ხელისუფლების ამჟამად მოქმედი და ყოფილი ჩინოვნიკები, მათი მხარდამჭერები, რომლებიც ორიენტირებული არიან ძირითადად სოფლის მოსახლეობაზე. ამიტომ მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ყველა ბერკეტი, რომ რეგიონის მოსახლეობა დროულად და სრულყოფილად იყოს ინფორმირებული იმ სასიკეთო ცვლილებების შესახებ, რომლებიც ქვეყანაში ხდება. ამიტომ, ვფიქრობ, დღეს ფრონტის ხაზი რეგიონებზე გადის. თბილისი ამ კუთხით მეტ-ნაკლებად დაცულია. ჩემი მოსაზრება გაამყარა ამ რამდენიმე დღის წინ მერაბიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ – მივალთ ყველა სოფელში, ყველა ქალაქში, შევხვდებით ყველა ადამიანს. მათთან ერთად ვიპოვით გზას და ასე შემდეგ. ნათელია, რა ინფორმაციას მიაწვდიან მოსახლეობას.

– რას ფიქრობთ ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში გადმოტანის თაობაზე?

– ქუთაისში პარლამენტის გადატანა ქართველი ხალხის ერთობის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი გეგმის ნაწილია, რაც დაპირისპირების ხელოვნურად შექმნის მცდელობაა. მართალია, ადრეც იყო ამის მცდელობა, მაგრამ იგი არ გასცდენია თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ურთიერთობების ფარგლებს. დღეს ყოველივე ამან მიიღო მასშტაბური და საკმაოდ სახიფათო ხასიათი. ქუთაისელებს უნერგავენ აზრს, რომ თუ პარლამენტი თბილისში გადავა, ქუთაისი არ იქნება, შესაბამისად, მოკვდება იმერეთი. ეს არის შეგნებულად მიმართული პროვოკაცია და, რაც მთავარია, ამის ინიციატორად სახელდება თბილისი, როგორც ქუთაისის ვირტუალურად აყვავების ხელისშემშლელი ფაქტორი. თუკი ქუთაისის აყვავება უნდოდათ, ამის დრო ჰქონდათ ნაციონალებს, სად იყვნენ აქამდე. შეგნებულად შეჰყავთ ხალხი შეცდომაში. სასტუმროებისა და სმა-ჭამის ბიზნესში დასაქმება არ არის ქუთაისელების ერთადერთი პროფილი, რაზეც ნაციონალები აპელირებენ. სწორედაც ქუთაისი იმსახურებს უფრო მეტს, მისი წარსულისა და ინტელექტუალური სიმდიდრიდან გამომდინარე. ამას ემსახურება ივანიშვილის მიერ არაერთგზის გაჟღერებული განცხადება, რომ ქუთაისში ხელი შეეწყობა საწარმოო ინფრასტრუქტურისა და გადამამუშავებელი დარგების განვითარებას. სწორედ ეს დარგები ქმნიან დასაქმების მყარ გარანტიებს, რაც ასე საჭიროა არა მარტო ქუთაისისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. გარდა ამისა, ახალი მთავრობა სერიოზული რეფორმების გატარებას აპირებს იმ მიმართულებით, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდეს საკუთარი ფინანსური წყაროები, რაც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გიორგი ჟორდანია ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველად გიორგი ჟორდანია დაინიშნა და მან ამ პოსტზე დავით საყვარელიძე შეცვალა.

საქართველოს კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ოპერის ახალი მმართველი კულტურის სამინისტროში შეკრებილ ჟურნალისტებს პირადად წარუდგინა. გიორგი ჟორდანია დირიჟორია, თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი და მთავარი კონსულტანტი, თბილისის სააღდგომო ფესტივალის დამფუძნებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ვახტანგ ჟორდანიას სახელობის დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე.

გიორგი ჟორდანია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დასრულების სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა და ტენესის უნივერსიტეტის ასპირანტურაში გაიარა საოპერო-სიმფონიური დირიჟორობისა და საოპერო რეჟისურის სრული კურსი. პარალელურად გახდა ჩატანუგის სიმფონიურ და საოპერო ასოციაციის მთავარი დირიჟორის ვახტანგ ჟორდანიას ასისტენტი და აქტიურად მონაწილეობდა სიმფონიური კონცერტებისა თუ საოპერო სპექტაკლების დადგმის პროცესში, მათ შორისაა „აიდა“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „სევილიელი დალაქი“, „ბოჰემა“. მისი პროფესიული დებიუტი სიმფონიური კონცერტით ჩატანუგის ოპერისა და სიმფონიური ასოციაციის ორკესტრთან 1990 წლის 4 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ ჩატანუგაში შედგა 30.000 მაყურებლის წინაშე. 1991 წელს დირიჟორი საქართველოში დაბრუნდა და 19 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც დირიჟორობდა ისეთ სპექტაკლებს როგორიცაა: „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „მადამ ბატერფლაი“, „დონ ჯოვანი“, „პიკის ქალი“, „მედეა“, „სოფლის ღირსება“, „დაუპატიჟებელი სტუმრები“, „მაკნატუნა“. მაესტრო გიორგი ჟორდანიას სადირიჟორო რეპერტუარშია როგორც საოპერო, ისე საბალეტო ნაწარმოებები, მათ შორის, ვერდის აიდა, რიგოლეტო, ტრავიატა, ბალ მასკარადი, დონ კარლოსი; პუჩინის ტოსკა, ჰოპემა; როსინის სევილიელი დალაქი; რახმანინოვის ალეკო; სენ-სანსის სამსონი და დალილა; ბიზეს კარმენი; ჩაიკოვსკის პიკის ქალი, ევგენი ონეგინი; ბიძინა კვერნაძის მედეა; ლეონკავალოს ჯამბაზები და ბალეტები ჩაიკოვსკის მაკნატუნა და ფერდინანდ ჰეროლდის ამაო სიფრთხილე. ყველა ეს წარმოდგენა მან თბილისის ოპერაში, ამერიკის შეერთებული შტატების ჩატანუგის ოპერაში და უკრაინის ხარკოვის ოპერაში წარმოადგინა. სხვადასხვა წლებში გიორგი ჟორდანია ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერალურ ორკესტრს მთავარი მოწვეული დირიჟორის რანგში, ხარკოვის სიმფონიური ორკესტრსა და შემდგომ ოპერისა და ბალეტის თეატრს, სადაც მაესტრომ 10 წელი გაატარა, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობდა მთავარ მიწვეულ დირიჟორად დენვერის კამერულ ორკესტრში. ხუთი წლის განმავლობაში ის იყო საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მთავარი დირიჟორი და ორკესტრთან ერთად კონცერტებით მოიარა პრაქტიკულად მთელი ევროპა – გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ბელგია, შვეიცარია, ესპანეთი, იტალია, თურქეთი, ისრაელი. 2000 წელს გიორგი ჟორდანიამ სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად მონაწილეობა მიიღო ცნობილ მევიოლინე ლიანა ისაკაძის თაოსნობით ჩატარებულ საკონცერტო მოგზაურობაში „პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში“, რომელიც საქართველოდან დაიწყო და ევროპის გავლით იერუსალიმში დასრულდა. ამავე წელს ლიანა ისაკაძესთან ერთად დააფუძნა „ბორჯომის კამერული ფესტივალი“ და ოთხი წლის განმავლობაში მისი მთავარი დირიჟორი იყო. იგი უკრაინის საერთაშორისო სადირიჟორო კონკურსის „ახალი მილენიუმის“ გამარჯვებული გახდა და მოიპოვა პირველი პრემია და გრანპრი, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. ჩატანუგაში მაესტრო მიიწვიეს ვახტანგ ჟორდანიას სახელობის საერთაშორისო სადირიჟორო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარედ. გიორგი ჟორდანია უკვე 5 წელია თბილისში დაარსებული „ხელოვნების სააღდგომო ფესტივალის“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია.

როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, თეატრის მთავარი დირიჟორი იტალიელი ჯანლუკა მარჩიანო თეატრში დარჩება და მოღვაწეობას გააგრძელებს. დავით საყვარელიძის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, თეატრის დასმა შეხვედრა მოითხოვა კულტურის მინისტრთა, სადაც გადაწყდა, რომ დასი მმართველის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას შესთავაზებდა. ამ თემაზე თანხმობა დასმა კულტურის მინისტრის მოადგილეებთან გამართული შეხვედრის შემდეგ მიიღეს. ოპერის თანამშრომლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ შექმნილიყო სამუშაო ჯგუფები, რომლებიც თეატრში არსებულ ვითარებას პირადად შეისწავლიან. მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა განაცხადა, რომ მინისტრი დავით საყვარელიძეს პირადად შეხვდება. დათო საყვარელიძემ თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა. მინისტრის მოადგილემ, მაშინ ტყუილი უწოდა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს საყვარელიძის მიმართ არანაირ შეთავაზებას ადგილი არ ჰქონია.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველმა რეჟისორმა დავით საყვარელიძემ თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილება 24 იანვარს გვიან ღამით კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მიიღო. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მან ხელოვნებისა და ოპერის თეატრის განვითარებასთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან განსხვავებული აზრის გამო მიიღო. რეჟისორმა შეთავაზება მიიღო სხვა თანამდებობაზე, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მაშინვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დავით საყვარელიძეს დირიჟორი გიორგი ჟორდანია შეცვლიდა, რადგან ის საქართველოს პრემიერ მინისტრის ახლობლად მოიაზრება. რეჟისორი ოპერისა და ბალეტის თეატრს 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა. სად გააგრძელებს მუშაობას დავით საყვარელიძე, ჯერჯერობით უცნობია.

– დავით საყვარელიძის თანამდებობიდან წასვლა მასსა და კულტურის სამინისტროს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. დავით საყვარელიძეს პირადად შევთავაზე სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში დარჩენა თეატრში, სადაც 9 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, რაზეც მან უარი განაცხადა. ფაქტია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში სიახლეების განხორციელების საჭიროებაა. დავით საყვარელიძემ ნაყოფიერი წლები გაატარა თეატრში, თუმცა ყველაფერი მოითხოვს განახლებას და დღის წესრიგში დადგა თეატრის დირექტორის შეცვლაც. მე და დავით საყვარელიძეს ხშირად გვქონია საუბრები და მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დავით საყვარელიძე დატოვებდა დირექტორის თანამდებობას. მას აქვს არაერთი პროექტი განსახორციელებელი როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში და კულტურის სამინისტრო ყველანაირად დაუდგება გვერდში დავით საყვარელიძეს. ამ თანამდებობაზე არაერთი კანდიდატი განიხილება, მათ შორის ერთ-ერთი გიორგი ჟორდანიაა. წლის ბოლოს უკვე დასრულდება ოპერისა და ბალეტის თეატრის რემონტი და ვისაც ექნება უკეთესი წინადადება თეატრის განვითარებასთან დაკავშირებით, სწორედ ის გახდება მისი დირექტორი, – აღნიშნა გასულ კვირას კულტურის მინისტრმა.

ოპერის თეატრის დასი და კულტურის სამინისტრო თეატრის სამხატვრო საბჭოს შექმნაზე შეთანხმდა, რომელიც 9-კაციანი იქნება და მასში მომღერლების, ორკესტრის, ბალეტის წარმომადგენლები, მმართველი და დირიჟორი შევლენ. სამხატვრო საბჭო გადაწყვეტილებას უმრავლესობით მიიღებს და განიხილავს ყველა იმ საკითხს, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრის დღის წესრიგში დადგება, როგორც შემოქმედებითი გეგმებისა და მისი განხორციელების, ასევე ტექნიკური საკითხების თვალსაზრისითაც.

დავით საყვარელიძის თანამდებობიდან წასვლა ოპერისა და ბალეტის თეატრის 600 კაციანმა კოლექტივის ნაწილმა გააპროტესტა. დასის წევრები კულტურის მინისტრს შეხვდნენ და სიტყვიერი დაპირება მიიღეს, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნამდე დავით საყვარელიძე თანამდებობას შეინარჩუნებდა. თავად დათო საყვარელიძე ამ დრომდე კომენტარს არ აკეთებს მომხდართან დაკავშირებით. მან ვრცლად მხოლოდ ეკა კვესიტაძის გადაცემაში ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის კულტურის სამინისტრომ არჩევანის წინაშე დააყენა – თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილებასა და ოპერის თეატრის სამომავლო განვითარებას შორის.

იმავე დღეს თანამდებობა დატოვა რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამაც. მაშინ აქტუალური გახდა კითხვა, გაათავისუფლებდნენ თუ არა დაკავებული თანამდებობებიდან საბალეტო დასის ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს და ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელს ნიკოლოზ რაჭველს. კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განმარტა, რომ მიუხედავად ამ უწყებებში არსებული პრობლემებისა, არც ნიკოლოზ რაჭველს და არც ნინო ანანიაშვილს თანამდებობის დატოვება არ ემუქრებოდათ. გურამ ოდიშარიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილიც და ამის მიზეზად აზრთა სხვადასხვაობა დაასახელა. 29 იანვარს კულტურის მინისტრმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი მერაბ ბოჭოიძე წარადგინა. გურამ ოდიშარიას თქმით, არჩევანი მერაბ ბოჭოიძეზე მისი პროფესიონალიზმის, ამ საქმეში აქტიური მუშაობისა და ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად შეჩერდა. მეორე დღეს მერაბ ბოჭოიძე კულტურის მინისტრმა უკვე სააგენტოს თანამშრომლებსაც წარუდგინა.

რაც შეეხება ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალ მმართველს, ის აქტიურ მუშაობას უახლოეს დღეებში შეუდგება.

გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:

– დღეს განსაკუთრებული დღე გვაქვს, იმიტომ რომ საქართველოს კულტურის სამინისტრომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველის თანამდებობაზე არსებული კანდიდატების მიერ წარმოდგენილი თბილისის საოპერო თეატრის განვითარების კონცეფციებს შორის ყველაზე მისაღებად გიორგი ჟორდანიას პროექტი მიიჩნია და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მაესტროს მრავალმხრივი გამოცდილების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება გიორგი ჟორდანიას თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. მოგეხსენებათ, ყველაფერი არის განვითარებადი, დინამიკურად განვითარებადი და ჩვენ გვინდა ჩვენი საამაყო ოპერისა და ბალეტის თეატრი გავხადოთ უკეთესი და ბევრად უფრო უკეთესი, ვიდრე წარმოგვიდგენია.

– ვინ იყვნენ ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველობის სხვა მსურველნი?

– გიორგი ჟორდანიას კანდიდატურა თავიდანვე ნამდვილად მოიაზრებოდა, თუმცა რამდენიმე სხვა ფიგუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხოგის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

წამალი სენსაცია – საბვარეულო მალამო

წამალი, რომლის შესახებაც მესმოდა ქება-დიდება 28-წლიანი ფსორიაზით ტანჯვა-წამების შემდეგ იმედგადაწურული მივედი ჯულიეტა ფურცელაძესთან და დაიწყე მისი მალამოთი მკურნალობა. მალე დავრწმუნდი ამ მალამოს ზებუნებრივი თვისებების ძალაში.

დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო მის მიერ მონიჭებული დიდი წყალობისთვის. გაზვიადების გარეშე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კაცი ახლიდან დავიბადე.

ქ-ნ ჯულიეტა ფურცელაძეს ვუსურვებთ კარგად ყოფნას, რათა დიდხანს იდგეს ავადმყოფების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. მასთან მკურნალობის დროს მე შევხვდი სოკოთი, ეგზემით, სებორეით განკურნებულ ადამიანებს.

თემქის დასახლება, ავად. 59 წლის ბ.ი.

განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

ლევან ყენია: საქართველოს მთები ყველაზე ლამაზია

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრებისა და ლვოვის „კარპატის“ ნახევარმცველის, ლევან ყენიას ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– ბოლოს შეკრებაზე როდის იყავი?

– სამი წლის წინ, როდესაც „შალკეში“ ვთამაშობდი. სხვათა შორის, მაშინაც შეკრება თურქეთში იყო. თუმცა, ის ჩემთვის უიღბლო აღმოჩნდა, რადგან ტრავმა მივიღე და დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვთამაშობდი.

– ტრავმებზე საუბარი არ გიყვარს, ამიტომ უკეთესია, გვითხრა, რით განსხვავდება ერთმანეთისგან უკრაინული და გერმანული გუნდების შეკრებები?

– ყველაფერი დამოკიდებულია არა ქვეყანაზე, რომელსაც კლუბი წარმოადგენს, არამედ, მწვრთნელზე. როცა „შალკეში“ ვთამაშობდი, მწვრთნელი ფელიქს მაგათი იყო. ის ძალიან „მძიმე“ მწვრთნელია და თავისი მანერით ნიკოლაი კოსტოვისგან განსხვავდება.

– დატვირთვებზე, რომელსაც მაგათი ფეხბურთელებს აძლევს, ლეგენდები დადის. თუმცა, ნიკოლაი კოსტოვიც გვარიანად გარბენინებდათ პირველ შეკრებაზე.

– ფიზიკური მომზადების გარეშე რა უნდა ქნა? არავინ ამბობს, რომ ფიზიკური დატვირთვები საჭირო არაა. უბრალოდ, მაგათს მომზადების განსხვავებული სისტემა ჰქონდა.

– შეგიძლია მაგალითი მოიყვანო?

– მაგათი დღეში სამჯერ გვავარჯიშებდა.

– რატომ აკეთებდა ასეთ აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე?

– მას ასეთი სტარტეგია ჰქონდა. ნებისმიერ გუნდს, სადაც კი მუშაობდა, ამ სისტემით ავარჯიშებდა.

– ამ სტარტეგიას შედეგი მოჰქონდა?

– სეზონის საწყის სამ თვეში. შემდეგ ფეხბურთელებს დაღლილობა და ტრავმები ეწყებოდათ.

– ღელავდი, როდესაც „კარპატისთან“ ერთად შეკრებაზე მიემგზავრებოდი?

– რა თქმა უნდა, ცოტა ვღელავდი, მაგრამ სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ თავს კარგად ვგრძნობ და შესაბამისად, ვარჯიში მსურდა. ეს სასიამოვნო პროცესია.

– გასული წლის მიწურული შენთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. საუცხოო საგოლე პასებს აკეთებდი და გოლები გაგქონდა. დიდ ფეხბურთში შენი დაბრუნება საქართველოში სათანადოდ შეაფასეს?

– საბედნიეროდ, ყველაფერი კარგადაა. სათამაშო ფორმაში შევედი. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობას ვგრძნობდი, მამხნევებდნენ, ჩემი წარმატება უხაროდათ, მირეკავდნენ. არაერთ ინტერვიუში გულწრფელად ვყვებოდი, თუ როგორ კარგად ვგრძნობდი თავს „კარპატიში“. მთავარია, რომ ფეხბურთს ვთამაშობდი. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებში დავბრუნდი. მიწვევა ახლაც მივიღე და დაუშვილთან ერთად ეროვნული გუნდის შეკრებაზე გავფრინდები.

– არა მხოლოდ მასთან ერთად.

– მართლაც, უკრაინის ჩემპიონატში ბევრი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. ჩვენ ხშირად ვურთიერთობთ. ამჟამად, სასტუმროში „ილიჩივეცთან“ ერთად ვცხოვრობთ, სადაც ოქრიაშვილი და თარგამაძე თამაშობენ. ვფიქრობ, ყველა ერთად გავფრინდებით.

– დილის ვარჯიშზე, კარგი ამინდის წყალობით, შეგეძლო მთებით დამტკბარიყავი. კავკასია არ გაგახსენდა?

– საქართველოში ბევრი მთაა. თითქოს თურქულებს ჰგვანან, მაგრამ მაინც განსხვავებულები არიან. ჩემთვის მშობლიური მთები უკეთესია. ისინი ყოველთვის მენატრება.

– როგორ გაატარე შვებულება?

– სხვადასხვა ქვეყნებში ვიყავი. ცოტა ხანი ზღვაზე დავისვენე, ცოტა – გერმანიაში, ცოტა – საქართველოში. ჯამში, საუცხოო დრო გავატარე.

– გერმანიასთან რა გაკავშირებს?

– ცოლი მყავს გერმანიიდან. ის სერბია, მაგრამ გერმანიაშია დაბადებული. გარდა ამისა, ჩემი ქალიშვილიც გერმანიის მოქალაქეა. როდესაც დრო მაქვს, იქ ხშირად ჩავდივარ. თუმცა, როდესაც ლვოვში ვარ, ისინი ჩემს გვერდით იმყოფებიან. როდესაც შეკრებაზე მივდივარ, მეუღლე ბავშვთან ერთად გერმანიაში მიფრინავს.

– საინტერესოა – თურქეთში ლვოვიდან ჩაფრინდი, ხოლო დაუშვილი – საქართველოდან.

– ლვოვში ჩემი მშობლები და მეუღლე იმყოფებოდნენ. ამიტომ, სამი დღე უკრაინაში ერთად გავატარეთ.

ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

მორიგი სკანდალი ქართულ სპორტში – კურტანიძეს ბრალად ფიზიკურ შეურაცხყოფას სდებენ

ქართულ სპორტშია ასეა – რაიმე დაპირისპირება ერთ სახეობაში ჩაქრება და უმალ მეორეში იფეთქებს. ამჯერად კონფლიქტი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გაღვივდა, სადაც 30 იანვარს ინციდენტი მოხდა. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილის განცხადებით, მას ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.



თემურ ყაზარაშვილი:

– როდესაც ლუკა კურტანიძე პრეზიდენტად მოვიდა, ყველა მწვრთნელი გადააყენა, მაგრამ ეს პრეზიდიუმთან უნდა შეთანხმებულიყო და ბრძანებაზე ხელი უნდა მოწერილიყო. მარტო მე მქონდა ხელის მოწერის უფლება. ეს საკითხი კი პრეზიდიუმზე არ გაუტანიათ. მკითხა, რატომ არ მოაწერე ხელი ბიჭების გათავისუფლებაზეო?! მე ვუთხარი, რომ ხელს არ მოვაწერდი, რადგან პრეზიდიუმთან არ არის შეთანხმებული და კანონიერი-მეთქი. ამის შემდეგ უშვერი სიტყვებით გამლანძღა, დაიკარგე აქედან და დარბაზში აღარ დაგინახოო. ამ დროს მე არჩეული ვიცე-პრეზიდენტი ვარ! ხელი დამარტყა, წიხლი დამარტყა, მერე წავიქეცი და ისევ წიხლი მომაყოლა – ფიზიკურად გამისწორდა.

ლუკა კურტანიძე ფიზიკურ შეურაცხყოფაში დაადანაშაულა მოჭიდავე რაინდ აბრამიშვილმაც. მისი თქმით, კურტანიძემ იგი წააქცია და სცემა.

აბრამიშვილის ინფორმაციით, თემურ ყაზარაშვილმა მას ტირლით დაურეკა – კურტანიძემ მცემაო.

რაინდ აბრამიშვილი:

– კაცი, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, ფედერაციის პრეზიდენტი აღარ იქნება. იმიტომ, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა პატარა ბავშვებს ანახა და აყურებინა, როგორც სცემა მსოფლიო ჩემპიონს.

აბრამიშვილსა და ყაზარაშვილს სახეზე და სხეულზე ფიზიკური დაზიანებები აქვთ, თემურ ყაზარაშვილს კი პალტოც შემოხა. ინციდენტის დროს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მისაღები ოთახის კარის ჩარჩო ჩამოვარდა.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ყაზარაშვილი და აბრამიშვილი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თუმცა ეს ფაქტი ალკოჰოლური ტესტის ჩატარების შემდეგ არ დადასტურდა.

თავად ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ინციდენტის შემდეგ ფედერაციის შენობა უკომენტაროდ დატოვა. მან ფედერაციაში არსებული „გაუგებრობის ფაქტი“ დაადასტურა, თუმცა ფიზიკური დაპირისპირება უარყო. კურტანიძის თქმით, ყველაფერი დალაგდება.

მოგვიანებით ჭიდაობის ფედერაციის შენობაში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი მივიდნენ.

ისინი ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლებთან დაახლოებით ორი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა საუბრობდნენ, თუმცა შეხვედრის შემდეგ შენობა უკომენტაროდ დატოვეს.

სამაგიეროდ, ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განცხადება მოგვიანებით გაავრცელა, სადაც აცხადებს, რომ სამინისტრო შეასრულებს კანონით განსაზღვრულ მოვალეობას და კვლავაც იკისრებს მედიატორის ფუნქციას ფედერაციებში არსებულ დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

სამინისტრო არ აპირებს მხარეებთან შეხვედრისა და კონსულტაციის გარეშე ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას. სამინისტრო მოუწოდებს მხარეებს გვერდზე გადადონ პირადი ინტერესები და ამბიციები და მთელი ძალისხმევა ქართული ჭიდაობის განვითარებას მოახმარონ.

მომხდართან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა თავად კურტანიძემ და ყველაფერს წინასწარ დაგეგმილი სიბინძურე უწოდა.

ლუკა კურტანიძე:

– ხმაური ატეხეს და პარალელურად ტელევიზიაში დარეკეს, რომ მათი ჩანაფიქრი საზოგადოებისთვის უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო. რაც შეეხება თემურ ყაზარაშვილის ბრალდებას, გარწმუნებთ, მე რომ ის მეცემა, სხვანაირი სანახავი იქნებოდა. რაც შეეხება ექიმის დასკვნას დაჟეჟილობაზე, ის ერთნაირად შეიძლება მიიღო როგორც ცემის, ასევე კედელზე მიხეთქების, წაქცევის დროსაც. როგორც დიდ სპორტსმენს, ყაზარაშვილს პატივს ვცემ, მაგრამ როგორც ადამიანი, მე ის ახლა სხვა კუთხით დავინახე. როდესაც ასეთი სპორტული წარსული გიმაგრებს ზურგს, ადამიანი ასე არ უნდა დაპატარავდე.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი კი, კურტანიძისგან პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. ხაზარაშვილის თქმით, მას კურტანიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ეს ფალავანთა კლუბის ფოიეში, ვარჯიშზე მისული ბავშვების თვალწინ მოხდა.

როგორც ყაზარაშვილი აცხადებს, თავად სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს, მომხდარით ისინი მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ყაზარაშვილმა რესპუბლიკურ საავადმყოფოს მიმართა.

21-წლამდელებმა მეტოქეები გაარკვიეს

უეფას შტაბბინაში, შვეიცარიის ქალაქ ნიონში 21-წლამდელთა 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეებიც გაირკვა. ჩვენი ნაკრები საკმაოდ საინტერესო ჯგუფში მოხვდა, სადაც ნამდვილად შეიძლება ბრძოლა ფლეი ოფში მოსახვედრად. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ცოტა გაგვიმართლა.

მაშ ასე, საქართველოს 21-წლამდე ასაკის ნაკრების მეტოქეები იქნებიან: ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი.

ჰოლანდიელები ფავორიტებად მოიაზრებიან და პირველ ადგილს, სავარაუდოდ, ვერავინ შეეცილება. სამაგიეროდ, მეორე ადგილის დასაკავებლად შოტლანდიელებთან და სლოვაკებთან ბრძოლა ნამდვილად შესაძლებელია. ლუქსემბურგი აქ გამოკვეთილი აუტსაიდერი ჩანს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩეხეთში ჩატარდება და ამდენად, ჩეხები პირდაპირ არიან გასულნი ფინალურ ეტაპზე.

როგორც წინა ჩემპიონატებში, ფინალური ეტაპი ამჯერადაც 8-გუნდიანი იქნება. ასე რომ, 52 ნაკრები 7 ადგილისთვის იბრძოლებს.

სულ 10 ჯგუფია, აქედან 2 ექვსგუნდიანი და 8 ხუთგუნდიანი. პირველადგილოსნებს დაემატებათ 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი და 14 გუნდი ფლეი ოფში გაარკვევს 7 საუკეთესოს.

ჯგუფის კალენდარი ჯერ არა, მაგრამ შესარჩევის წლევანდელი მატჩების თარიღები კი ცნობილია: 2013 წელს – 22-26 მარტი, 7-11 ივნისი, 6-10 სექტემბერი, 11-15 ოქტომბერი, 15-19 ნოემბერი; 2014 წელს – 3-9 სექტემბერს.

ფლეი-ოფის შეხვედრები 2014 წლის 8 და 14 ოქტომბერს შედგება.

ამ შესარჩევში და ფინალურ ეტაპზეც 1992 წელს დაბადებულებსა და უმცროსებს შეუძლიათ თამაში. რა შეხსენება გინდათ, ქართველ 21-წლამდელებს ალექსანდრე ჩივაძე წვრთნის.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲤᲘᲘᲯᲘᲡ ᲔᲗᲘᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ალჟირი-კოტ დივუარი 2:2
ტოგო-ტუნისი 1:1

ᲐᲛᲰᲐᲜᲐᲒᲣᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

მექსიკა-დანია 1:1

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲠᲗᲘᲛᲘᲗᲘᲠᲘᲒᲐ

არსენალი-ლივერპული 2:2
ნორვიჩი-ტოტენჰემი 1:1
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი 2:1
მანჩესტერი-საუთჰემპტონი 2:1
რედინგი-ჩელსი 2:2
ფულემი-ვესტ ჰემი 3:1

ᲡᲐᲢᲘᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.მანჩესტერი	24	19	2	3	59:31	59
2.სიტი	24	15	7	2	45:19	52
3.ჩელსი	24	13	7	4	49:24	46
4.ტოტენჰემი	24	12	6	6	41:29	42
5.ევერტონი	24	10	11	3	37:27	41
6.არსენალი	24	10	8	6	48:29	38
7.ლივერპული	24	9	8	7	42:30	35
8.სუონსი	24	8	10	6	34:27	34
9.ვესტ ბრომვიჩი	24	10	4	10	34:34	34
10.სტოკი	24	6	12	6	24:29	30
11.სანდერლენდი	24	7	8	9	27:31	29
12.ფულემი	24	7	7	10	36:41	28
13.ვესტ ჰემი	24	7	6	11	27:36	27
14.ნორვიჩი	24	6	9	9	25:40	27
15.ნიუკასლი	24	6	6	12	30:42	24
16.საუთჰემპტონი	24	5	8	11	31:42	23
17.რედინგი	24	4	8	12	30:45	20
18.ასტონ ვილა	24	4	8	12	20:46	20
19.უიგანი	24	5	5	14	27:45	20
20.ქპრ	24	2	10	12	18:37	16

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘᲒᲐ

ჰადერსფილდი-კრ.პალასი 1:1

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲗᲐᲡᲘ

რეალი-ბარსელონა 1:1

ᲡᲐᲤᲘᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲗᲐᲡᲘ

რუანი-მარსელი 1:2

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲗᲐᲡᲘ

ზვოლე-ერაკლესი 3:2
პსვ-ფეინოორდი 2:1

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ. ᲗᲐᲡᲘ

ფერეირა-ბენფიკა 0:2

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘᲒᲐ

სტ.ჯონსონი-აბერდინი 3:1
როსი-ჰიბერნიანი 1:0
სელტიკი-კილმანროკი 4:1
სტ.მირენი-ინვერნესი 2:1
ჰართსი-დანდი 1:0

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ. ᲗᲐᲡᲘ

ანდერლეხტი-გენკი 1:0

ᲡᲐᲑᲭᲘᲫᲜᲔᲗᲘ. ᲗᲐᲡᲘ

ქსანთი-ვერია 0:2
კალავა-ოლიმპიაკოსი 0:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ნბა. ᲩᲔᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ინდიანა-დეტროიტი 98:79
ფილადელფია-ვაშინგტონი 92:84
ატლანტა-ტორონტო 93:92
ბოსტონი-საკრამენტო 99:81
ნიუ იორკი-ორლანდო 113:97
ბრუკლინი-მაიამი 85:105
მილუოკი-ჩიკაგო 88:104
მინესოტა-კლიპერსი 90:96
სან ანტონიო-შარლოტი 102:78
იუტა-ნიუ ორლეანი 104:99
დენვერი-ჰიუსტონი 118:110
ფინიქსი-ლეიკერსი 92:86

ᲰᲝᲙᲔᲘ

ნჰლ. ᲩᲔᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ოტავა-მონრეალი 5:1
მინესოტა-ჩიკაგო ..... 2:2(1:ბ)
ფინიქსი-ედმონტონი ..... 1:2(ოტ)
ვანკუვერი-კოლორადო 3:0

სამინისტროში მრჩეველთა საბჭო შეიკრიბა

30 იანვარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, სამინისტროს ინიციატივით შექმნილი მრჩეველთა საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა. საბჭოს წევრებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილე თამაზ თევზაძესთან და სპორტის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად შეხვდა.

მრჩეველთა საბჭო სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებს რჩევებსა და რეკომენდაციებს სპორტული ფედერაციებისთვის, სპორტში მეცნიერული კვლევის შედეგების (მათ შორის სამედიცინო კუთხით) პრაქტიკაში დანერგვას. საბჭო ასევე განიხილავს ოპტიმალურ სტრატეგიას ახალი კადრების მომზადებისთვის და იმუშავებს სამწვრთნელო მეთოდიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის, თამაზ თევზაძის დაქვემდებარებაში არსებული კომისია მოამზადებს განსახილველ საკითხთა ნუსხას და მას მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს. მრჩეველთა საბჭო 2013 წლის 12 იანვარს შემდეგი შემადგენლობით შეიქმნა: ნონა გაფრინდაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, გურამ მინაშვილი, თემურ ბენდიაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, რომან რურუა, გურამ საღარაძე, როსტომ აბაშიძე, გურამ პაპიტაშვილი, ვიქტორ სანეევი, ჯუმბერ ლეჟავა, ჯანო ბაგრატიონი, რევაზ ტრაპაიძე, ლევან თედიაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ალექსანდრე მეტრეველი, მზია ჯუღელი.

მოამზადა მისეულ ყორჟოლიანმა

ალექსანდრე ყაზბეგის იუბილე თბილისში იზეიმეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის თეატრალურ დარბაზში ალექსანდრე ყაზბეგის 165 წლის იუბილე აღნიშნა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი და „კლასიკოსი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოება“.

ალექსანდრე ყაზბეგის 165 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ კულტურულ შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, ასევე ფოლკლორული ანსამბლები და ცნობილი მომღერლები. ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ფილმებიდან. ალექსანდრე ყაზბეგის იუბილეს მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ყოველწლიურად აღნიშნავენ, თუმცა სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით.

ცნობილია, რომ მწერალი ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ მოსკოვში სწავლობდა. საქართველოში დაბრუნებულმა მწყემსობა დაიწყო და ამით ახლობლები გაანაწყენა. იგი წლების განმავლობაში იყო მეცხვარე და კარგად გაეცნო მოხევეთა ყოფას, გლეხი ხალხის სატკივარს, მეფის ხელისუფალთა და ხალხის ურთიერთობას. იგი 31 წლის ასაკში საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და სწორედ მაშინ დაიწყო მისი აქტიური მოღვაწეობა მწერლობაში. ცნობილია, რომ მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო აკაკია მოჩხუბარიძე, ხოლო თეატრალური – „მოხევე“. იგი ამ პერიოდიდან განახლებული ქართული თეატრის მსახიობი და დრამატურგი იყო. მისი პირველი მოთხრობა „ციცკა“ 32 წლის ასაკში გამოაქვეყნა, თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასა“ და ილია ჭავჭავაძის „იგერიასთან“. მისმა ნაწარმოებმა „ელგუჯა“ მწერალს დიდი აღიარება მოუპოვა, რასაც მოჰყვა მოთხრობები და რომანები „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ციკო“, „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“. მწერალი მძიმედ დაავადდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა. ალექსანდრე ყაზბეგი 45 წლის ასაკში იქვე გარდაიცვალა.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ ისაუბრა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაზე და მისი შემოქმედების სიღრმეებზე. როგორც ღონისძიების დასასრულს ითქვა, ალექსანდრე ყაზბეგის იუბილე ყოველწლიურად მოკრძალებულად, მაგრამ რაც მთავარია, მაქსიმალური მონდომებით აღინიშნება.

მწერლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შემდეგ, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის თეატრალური სახელოსნოს დრამატული თეატრი პრემიერას გამართავს. 2 თებერვალს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის თოჯინების თეატრში წარმოდგენილი იქნება იტალიელი საბავშვო მწერლის ჯანი როდარის სპექტაკლი „ჩიპოლინოს თავგადასავალი“, რომლის რეჟისორიც გიორგი აფხაზავა, მხატვარი – ნინო კიტია, ქორეოგრაფი – გიორგი ენუქიძე, პედაგოგი – ზორა გაბელია. სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს სასახლის თეატრალური სახელოსნოს ოცამდე მოსწავლე. სასახლის თეატრალური სახელოსნოს დრამატული თეატრის სპექტაკლი „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის „თავისუფალი თეატრალური პროექტების“ ფარგლებში დაფინანსდა.ს

თეოდორ რუდინი ეროვნულ საკონცერტო დარბაზში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

პირველ თებერვალს აღიარებული მევიოლინე თეოდორ რუდინი ეროვნულ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს. მასთან ერთად სცენაზე იდგებიან ნიკოლოზ რაჭველი და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. მევიოლინე უკვე თბილისშია და ორი დღეა ორკესტრთან ერთად აქტიურ რეპეტიციებს გადის.

როგორც ეროვნული მუსიკალური ცენტრის წარმომადგენელი ნინა ნახუცრიშვილი აცხადებს:

– პირველ თებერვალს ეროვნული საკონცერტო დარბაზი კლასიკური მუსიკის მორიგ კონცერტს უმასპინძლებს, შესრულდება პეტრე ჩაიკოვსკის სიუიტა ბალეტიდან „მაკნატუნა“ და სავიოლინო კონცერტი თხზულება 35. სოლისტის ამპლუაშია თეოდორ რუდინი, რომელიც აღიარებული მევიოლინეა. „ტემპერამენტით სავსე და ამავე დროს მგრძნობიარე, რომანტიული, კონცერტის მსვლელობისას მისი ნაზი თამაში ვიოლინოსთან ინტენსიურ და დრამატულ თამაშს ენაცვლება, რუდინს აქვს უნიკალური უნარი სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით მოგაწოდოს კარგად ცნობილი კლასიკური ნაწარმოებები. მის შესრულებას ემოციის გარეშე ვერასოდეს მოისმენ, რადგან ყოველ ბგერას მასთან ერთად განიცდი,“ – ასე აფასებს ფიოდორ რუდინს საერთაშორისო მუსიკალური კრიტიკა. ცნობილი მუსიკოსების მემკვიდრემ თეოდორ რუდინმა პირველად ვიოლინო 5 წლის ასაკში აიღო ხელში. სწავლობდა პარიზის კონსერვატორიაში პროფესორ ლარისა კოლოსის ხელმძღვანელობით. მოგვიანებით სწავლა განაგრძო კიოლნის მუსიკის უმაღლეს სასწავლებელში. იგი არის მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და პრესტიჟული პრემიო პაგანინის საერთაშორისო სავიოლინო კონკურსის ფინალისტი. თეოდორ რუდინი გამოდის მსოფლიოს წამყვან საკონცერტო დარბაზებში. მან ჩაატარა კონცერტი, რომელიც ეძღვნებოდა ლეგენდარულ მევიოლინე ივრი გიტლისს. უკრავს გერმანიაში კიოლნისა და ერფურტის ფილარმონიაში, დუსელდორფის, ჰამბურგის საკონცერტო დარბაზებში, ამერიკის შეერთებული შტატების კარნეგი ჰოლის სტერნის აუდიტორიუმში, ასევე ავსტრიის, შვეიცარიის, შვედეთის, ინდონეზიის, ბულგარეთის, თურქეთის, რუსეთის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში. აღსანიშნავია მისი გამოსვლა ბათუმის მუსიკის ფესტივალზე გასულ წელს, რომლის ხელმძღვანელიც აღიარებული ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე გახლავთ. ფიოდორ რუდინი უკრავს სტრადივარიუსის ვიოლინოზე, რომელიც დამზადებულია ლონდონში მსოფლიოში ცნობილი სახელოსნოს მიერ.

თეოდორ რუდინის კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებს ვაჟთა ანსამბლი „მძლევარი“ კახაბერ ონაშვილის ხელმძღვანელობით. საღამოზე დასწრება ნებისმიერ მსურველს პირველ თებერვალს 15-25 ლარად შეეძლება. 9 თებერვალს კი ეროვნულ საკონცერტო დარბაზში კონცერტს მაქსიმ რისანოვი (ალტი) გამართავს. საკონცერტო პროგრამაშია გეორგ ფილიპ ტელემანის ალტის კონცერტი, დობრინკა ტაბაკოვას სიუიტა ძველებურ სტილში და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სიმფონია №40.

პირველ მარტს კი გაზაფხულის პირველ დღეს მსმენელის წინაშე ცნობილი ქართველი პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი წარდგება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და კონცერტმაისტერი ალექსანდრე ხატისკაცი. საკონცერტო პროგრამაშია ფელიქს მენდელსონის სიმფონია სიმებისთვის №7, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი №12 და ანტონინ დვორჟაკის სერენადა სიმებისთვის.

გიორგი ჟორდანია ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რასთან ერთად, რომელთა შორის იყო ცნობილი ბარიტონი ლადო ათანელი, მუსიკათმცოდნე და მუსიკოსი რეზო ჭეიშვილი და გერმანიაში მოღვაწე მევიოლინე მაია კობახიძე. თუმცა გიორგი ჟორდანიას კონცეფცია სამინისტროსთვის ყველაზე მომხიბვლელი აღმოჩნდა, ჟორდანიას საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად.

– რატომ?

– მოგვხიბლა გიორგი ჟორდანიამ იმით, რომ მას აქვს დაწერილი კონცეფცია, პროგრამა, თუ როგორ ხედავს ის მომავალში ჩვენი თეატრის ხვალინდელ დღეს. მან ეს კონცეფცია წარმოადგინა ძალიან კარგად, ის შეირჩა უპირველეს ყოვლისა თავისი გამოცდილებით. მას აქვს დიდი საერთაშორისო გამოცდილება, დიდხანს იყო ამერიკაში, ისწავლა და აქვს როგორც საოპერო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის სტატუსი, ასევე არის რეჟისორი. ბევრს მუშაობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, უკრაინაში იყო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის 19 წელი მოღვაწეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში და დღეს ის ისევ დაუბრუნდა თავის მშობლიურ თეატრს და დაუბრუნდა უკვე მმართველის სტატუსით.

– იცით დავით საყვარელიძის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით?

– დათოს პოზიცია ვიცით, ის დადიოდა ჩვენთან სამინისტროში, მართალია ბოლო პერიოდში მე არ შევხვედრივარ, მაგრამ მოადგილეები, მრჩეველთა საბჭო სისტემატურად ხვდებოდა მას. დათო საყვარელიძესთან ვისაუბრე და გადაწყდა, რომ როგორც მმართველები მიდიან და მოდიან, მინისტრებიც მიდიან და მოდიან, მაგრამ ქართული კულტურა მარადიულია და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ არაფერს ვაკეთებთ ერთპიროვნულად, ჩვენ ვფიქრობთ დიდხანს და აზრს ვეკითხებით საზოგადოებას.

– ეს გადაწყვეტილება თეატრის დასთან შეთანხმებულია?

– რა თქმა უნდა. ჩვენ თეატრის დასთან არაერთხელ ვისაუბრეთ ოპერის ახალ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, გიორგი ჟორდანიას კანდიდატურა შეთანხმებულია როგორც თეატრის დასთან, ასევე ნინო ანანიაშვილთან და ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებას ადგილი არ ჰქონია.

გიორგი ჟორდანია, ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველი:

– მოხარული ვარ ამ პოსტზე დანიშვნით, ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად ვერ დავაკნინებ და ვერ უგულვებელვყოფ იმ დიდ წარმატებებს, რომელიც ჩვენს თეატრს ადრეც ჰქონია და ბოლო წლებშიც მიაღწია, მაგრამ უნდა ყველაფერი განახლდეს და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა გზების ძიება არის საჭირო, რომ მოხდეს ამ წარმატების კიდევ უფრო სრულყოფა. პირველ რიგში, ყველაზე მთავარი ამ კონცეფციიდან რაც არის, უპირატესობას ვანიჭებთ ხარისხის განუხრელ ზრდას. თეატრში უნდა გაძლიერდეს და თანაბრად განვითარდეს ყველა რგოლი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სწორი სარეპერტუარო პოლიტიკის წარმოება, სეზონების მკაცრად დაგეგმარება, მჭიდრო კავშირი ქართულ ვოკალურ სკოლასთან ევროპაში. განსაკუთრებით საყურადღებოა თეატრის საგანმანათლებლო ფუნქცია და კონსერვატორიასა და მუსიკალურ სკოლებთან კავშირის გაღრმავება.

– დარჩება ჯანლუკა მარჩიანო ოპერის თეატრში?

– მასთან ძალიან ნაყოფიერ თანამშრომლობას ვაპირებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის სამხატვრო ხელმძღვანელი არ გახლავთ, ის არის მთავარი დირიჟორი და მასთან ვაპირებთ კონტრაქტის შესრულებას, ისე როგორც დაწერილია.

– რაც შეეხება ნინო ანანიაშვილს?

– რა თქმა უნდა, ისიც რჩება თავის სამუშაო ადგილას და მასთანაც ვაპირებ ძალიან ნაყოფიერ თანამშრომლობას.

– როგორია თქვენი სამუშაო გეგმა?

– ჩვენი გეგმა და მთავარი პრიორიტეტი არის ის, რომ მოხდეს ყველა რგოლის შემოქმედებითი გაძლიერება, იმედი მაქვს მთავრობის მხარდაჭერის, რომ ეს ყველაფერი საკადრისად განვახორციელოთ. მოუთმენლად ველოდებით, რომ გაიხსნას ჩვენი თეატრი და რეპერტუარში აქტიურად ჩავჯდეთ, ფორმაში ჩავდგეთ და ღირსეულად ვიმუშავოთ განახლებულ ოპერის თეატრში. მგონია, რომ ყველაფერი მოგვარდა.

– დავით საყვარელიძეზე რას იტყვით?

– არანაირი პიროვნული კონფლიქტი არ მაქვს ბატონ დათო საყვარელიძესთან და მანაც გამოთქვა სურვილი, რომ თუკი ის საჭირო იქნება, ჩვენთან აუცილებლად ითანამშრომლებს.

პრინცმა ჩარლზმა 33 წლის განმავლობაში პირველად მეტროთი იმგზავრა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩუქრად სამახსოვრო სატრანსპორტო ბარათი „ოისტერი“ მიიღეს, ანგარიშზე 10 ფუნტი სტერლინგით, რომლის საშუალებითაც მგზავრობის საფასური გადაიხადეს. ორივე პლასტიკური ბარათი სამეფო კოლექციას გადაეცემა.

სადგურს ახალი თაობის მატარებელი გადაეცა. მეტროპოლიტენის ერთ-ერთი უახლოესი მოდელით მგზავრობისას ჩარლზს და კამილას მრავალრიცხოვანი ჟურნალისტები და უსაფრთხოების თანამშრომლები თან ახლდნენ. ჩვეულებრივ მგზავრებს სამეფო ოჯახის წევრებთან მიახლოების უფლება არ მიეცათ.

ბოლოს ჩარლზს მეტროში მგზავრობა 1979 წლის აპრილში მოუწია, როდესაც მეტროს საიუბილეო ხაზის, „ჯუბილი-ლაინის“ საზეიმო გახსნაში მონაწილეობას იღებდა.

ლონდონის მეტრომ მუშაობა დაიწყო 1863 წლის 9 იანვარს. ამ დღეს „პადინგტონის“ და „ფარინგტონის“ სადგურებს შორის პირველი შემადგენლობა გაუშვეს. ხოლო მგზავრებისთვის მიწისქვეშა ტრანსპორტი გაიხსნა 10 იანვარს – ამ დღეს მატარებლებმა 30 ათასზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს.

ბრიტანული დედაქალაქის მეტროპოლიტენი თავისი მთლიანი სიგრძით (402 კილომეტრი) შანხაის მეტროს შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს. ის ემსახურება ლონდონის მნიშვნელოვან ნაწილს, ასევე ნაწილობრივ ბანკინგემშირის, ჰარტფორდშირის და ესექსის საგრაფოებს. ყოველდღიურად მისით სარგებლობს საშუალოდ 3,6 მილიონი მგზავრი (ყველაზე დატვირთული სადგურია – „ვატერლოო“, წელიწადში მგზავრთა ნაკადის რაოდენობა 82 მილიონს შეადგენს). ლონდონის მეტრო ითვლის 11 ხაზს და 270 სადგურს, რომელთა ყველაზე მეტი რაოდენობა – 60– არის „დისკრიქტის“ ხაზზე, ყველაზე ნაკლები 2 – „ვატერლოო-ენდ-სითის“ ხაზზე.

გ. მ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მთიანეთი ევროპაში; 2. იოსებ სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 6. მთვარიანი ღამე; 8. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 11. სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე კონტრაბანდისტი აშშ-ში; 13. სასიამოვნო სურნელება; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან; 19. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

თარაზულად: 1. შავყურზნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. აეროპორტი ლონდონში; 7. ხეობა კახეთში; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 10. ჩამქრალი ვულკანი, თრიალეთის ქედზე; 12. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 16. ქუჩა ლონდონში, სადაც განთავსებულია სამთავრობო დაწესებულებები; 17. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 18. მუზეუმი ბერლინში; 20. საკვების ნორმა, ულუფა გარკვეული ვადისათვის; 21. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. წიგნის, სტატიის მიკლე შინაარსი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად; 1. ბომარშე; 2. კლონი; 3. კოხინორი; 4. ინკები; 5. გვირილა; 6. დიოგენი; 11. გნოლი; 13. ბოსტონი; 14. ანდერსენი; 15. სპრინტერი; 17. ბატონი; 18. კოიოტი; 19. ლეკი.

თარაზულად: 7. ბოჟოლე; 8. როინაშვილი; 9. საბენა; 10. სინეკურა; 12. სენბერნარი; 14. არაქსი; 16. აბრსკილი; 18. კადასტრი; 20. სიდრი; 21. გნუ; 22. პოინტერი; 23. იდეა; 24. ქიმერიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰედერი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გობი; 6. როგანი; 8. ბარონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვლი; 15. გინიოლი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ჩონგური; 7. დარბაზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. ბროსნანი; 16. ყინწვისი; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

თანამშრომლობაზე რუსეთის უარის გამო ამერიკამ წუხილი გამოთქვა

რუსეთის მიერ სამართალდამცავ საქმიანობასთან დაკავშირებული შეთანხმების დატოვების გადაწყვეტილების გამო ამერიკამ წუხილი გამოთქვა. აღნიშნულის შესახებ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა.

„ჩვენ ვწუხვართ ამ გადაწყვეტილების გამო. ჩვენ ძალიან ნაყოფიერი თანამშრომლობა გვქონდა“,-აღნიშნა ნულანდმა, რომელმაც მოსკოვის ამ გადაწყვეტილების ისევ მოსკოვისათვის საზიანო უწოდა, მსგავსად ამერიკელებზე ობლედის მიშვილების აკრძალვისა.

გუშინ რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ამერიკასთან იმ შეთანხმებიდან გამოდიოდა, რომლითაც მოსკოვი დამნაშავეობისა და ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ საბრძოლველად ფინანსურ დახმარებას იღებდა. აღნიშნულ შეთანხმებას ხელი 2002 წელს მოეწერა. შეთანხმებიდან გამოსლა „ბი-ბი-სი“-ს ცნობით, რუსეთის დიპლომატიური უწყების ინიციატივით მოხდა. როგორც აცხადებენ, დოკუმენტი „დღევანდელი დღის რეალობებს არ პასუხობდა“.

როგორც რუსულ სამთავრობო განცხადებაშია ნათქვამი, შეთანხმების გაფორმება მაშინ ანტიკრიმინალური პროექტების საბიუჯეტო დაფინანსების უკმარისობით იყო განპირობებული, კერძოდ, შეთანხმების ფარგლებში აშშ-რუსეთის შესაბამის ორგანოებს დახმარებას უწევდა. მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით ამერიკულ მხარეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცნობებს. შეთანხმება ამერიკული მხარის ინფორმირებიდან 90 დღის შემდეგ შეწყვეტს მოქმედებას.

ქვეყნების ორ მესამედზე მეტი თავდაცვის სექტორში კორუფციას ვერ აკონტროლებს

მსოფლიო ქვეყნების ორ მესამედზე მეტი, მათ შორის იარაღით მოვაჭრე უდიდესი ქვეყნები, ვერ აკონტროლებს კორუფციას თავდაცვის სექტორში. „როიტერის“ ცნობით, ასეთია საერთაშორისო ორგანიზაცია „ტრანსპერენსი ინტერნეიშენალის“ ანგარიშის შედეგი.



კვლევა 82 ქვეყანაში ორი წლის განმავლობაში ტარდებოდა. კვლევაში ქვეყნები შვიდ ჯგუფად ა-დან (ძალიან დაბალი კორუფციული რისკის მქონე) ეფ-მდე (კრიტიკული ზღვარი) არიან დაყოფილი.

ანგარიშის მიხედვით, გერმანია და ავსტრალია 82 ქვეყანას შორის ყველაზე ძლიერი ანტიკორუფციული მექანიზმებით გამოირჩევიან. 57 ქვეყანას კი, რაც ჯამში 70%-ია, კორუფციაზე სუსტი კონტროლი აქვს და კორუფციის მაღალი რისკით გამოირჩევიან. დაბალი მაჩვენებელი აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არის: აშშ, ბრიტანეთი, შვედეთი და სამხრეთ კორეა; საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და პოლონეთი კი საშუალო რისკის მქონე ჯგუფში მოხვდნენ.

იარაღის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები – რუსეთი, ჩინეთი და ისრაელი კვლევის ავტორებმა კორუფციის მაღალი რისკის ქვეყნებს მიაკუთვნეს. ყველაზე ცუდად არმიის ბიუჯეტი 10 ქვეყანაში, მათ შორის, ეგვიპტეში, სირიასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კონტროლირდება.

„თავდაცვის სექტორში არსებული კორუფცია საშიში და ძვირადღირებულია. კორუფციის გამო შესაძლოა, ჯარებმა დაზიანებული და გამოუსადეგარი საბრძოლო იარაღი მიიღონ. ყოველივეს გათვალისწინებით, სახელმწიფოების უმრავლესობა არაფერს აკეთებს კორუფციის აღსაკვეთად:“, – განაცხადა მარკ პაიმანმა, დიდი ბრიტანეთის „ტრანსპერენსი ინტერნეიშენალის“ დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელმა.

„როიტერის“ ინფორმაციით, ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში თავდაცვის სექტორში კორუფციის მაჩვენებელი 20 მილიარდი დოლარით შეფასდა.

კორუფცია ვრცელი გაგებით სახელმწიფო ძალაუფლების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაა არალეგიტიმური, როგორც წესი საიდუმლო, პირადი კეთილდღეობისთვის.

აშშ-ში უნიკალური სამხედრო დირიჟაბლის პირველმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა



ამერიკულმა კომპანიამ „აეროსმა“, უნიკალური ჰიბრიდული თვითმფრინავ-დირიჟაბლის, „აეროსკრაფტის“ პირველი გამოცდის წარმატებით დასრულების შესახებ გამოაცხადა. სამხედრო დანიშნულების მაღალტექნოლოგიურ აპარატზე, რომლის შექმნასაც აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო აფინანსებს, დიდი იმედებს ამყარებენ – მან შორეული ფრენების სფეროში რევოლუცია უნდა მოახდინოს. ასეთი ტიპის დირიჟაბლს, ათასი კილომეტრებით სამჯერ უფრო მეტი ტვირთის გადატანა შეუძლია, ვიდრე ამას უმსხვილესი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები აკეთებენ. ამას გარდა, არ სჭირდება ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, რადგან ვერტიკალური სტარტის და დამიწების სისტემითაა აღჭურვილი, იტყობინება ბრიტანული გაზეთი „დეილი მეილი“. ამასთან, აპარატს სამჯერ ნაკლები სათბობი დასჭირდება, ვიდრე თვითმფრინავებს.

საზაფხულო ექსპერიმენტები ტარდებოდა ტასტინში (კალიფორნია), ლოს-ანჟელესის სიახლოვეს, სადაც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ანგარია განლაგებული. მათი წარმატებული დასრულების შესახებ „აეროსის“ შემქმნელმა, გენერალურმა დირქტორმა იგორ პასტერნაკმა განაცხადა. უკრაინელმა ემიგრანტმა, რომელიც ასევე „აეროსკრაფტის“ მთავარი ინჟინერია, განმარტა, რომ გამოცდებმა საფრენი აპარატის კონსტრუქციის უნიკალურობა დაამტკიცა.

ჯერჯერობით, გამომცდელებმა აპარატი ანგარის შიგნით რამდენიმე მეტრ სიმაღლეზე აიყვანეს. კომპანიის ინჟინერის, ჯორჯო ვერჯეს თქით, საჰაერო მანქანის შემქმნელებს ყველაზე მეტად აწუხებთ, შეძლებს თუ არა დირიჟაბლი წინააღდეგობა გაუწიოს ძლიერ ქარს და ამინდის სხვა ექსტრემალურ გამოვლინებებს.

თავდაცვის სამინისტრომ და „ნასამ“ პროექტში 35 მილიონი დოლარი ჩადეს. ტექნოლოგია პერსპექტიულად ითვლება, რადგან დირიჟაბლს უფრო მეტი ტვირთის გადატანა შეუძლია, ვიდრე ნებისმიერ თვითმფრინავს სტიქიური უბედურების ზონებში და სამხედრო ბაზებზე.

დირიჟაბლის სიგრძე დაახლოებით 70 მეტრს შეადგენს. მიუხედავად ამისა, „აეროსი“ აღნიშნავს, რომ მზა ვარიანი ორჯერ დიდი იქნება.

შემქმნელების აზრით, ასეთი ტიპის დირიჟაბლებს დიდი მომავალი აქვს – მისი გამოყენება შეიძლება აეროკოსმოსურ დარგში, ნავთობმომპოვებელ წარმოებაში, საგზაო მშენებლობაში, ტელეკომუნიკაციების გაყვანისას.

როგორც ელიან, „აეროსკრაფტი“ სამი წლის განმავლობაში ექსპლუატაციისთვის მოამზადებს დაახლოებით 137 მეტრის აპარატს, რომელსაც 66 ტონა ტვირთის გადატანა შეეძლება.

სირიის ოპოზიციის ლიდერს ბაშარ ალ-ასადის წარმომადგენლებთან შეხვედრა სურს

სირიის მთავარი ოპოზიციური კოალიციის თავკაცმა, მუაზ ალხათიბმა პრეზიდენტ, ბაშარ ალ-ასადის წარმომადგენლებთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება.

შეხვედრის სურვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოთქვა. თუმცა, შეხვედრამდე ოპოზიციონერი ლიდერი ამბოხების ათასობით მონაწილის ციხიდან გათავისუფლებას ითხოვს.

„ევრონიუსის“ ინფორმაციით, სირიის ეროვნულმა საბჭომ უარი თქვა ამ ინიციატივაზე და განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს შეუძლიათ დამასკოში დაბრუნება და დიალოგის გამართვა.

ამ ყველაფრის ფონზე სირიაში გრძელდება დაპირისპირება პრეზიდენტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. დამასკოსა და ალეპოში მომხდარ ბოლო აფეთქებებს სულ მცირე 11 ადამიანი ემსხვერპლა.

სირიის არმიის ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ ისრაელის ავიაციამ ავიადარტყმა დამასკოს პროვინციაში, სამხედრო კვლევით ცენტრზე მიიტანა. „ისრაელის მოიერიშეებმა, დღეს გამთენიისას, დაარღვიეს ჩვენი საჰაერო სივრცე და სამეცნიერო-კვლევით ცენტრზე წერტილოვანი დარტყმა განახორციელეს“, – სირიის ერთერთი მაღალი რანგის სამხედრო ჩინოსანის ამ განცხადებას სააგენტო „სანა“ ავრცელებს.

სამხედრო მეთაურობის განცხადებით, ცოტა ხნის წინ, ეს ცენტრი შეიარაღებული ოპოზიციის თავდასხმის ობიექტიც გახდა. რამდენიმე დღის წინ, დასავლური მედია კი იუწყებოდა, რომ ისრაელის სამხედრო ავიაციამ რიგ წერტილებზე, სირია-ლიბანის საზღვარზე, დარტყმები განახორციელა. სააგენტო „ფრანსპრესის“ ცნობით, დარტყმა იარაღით დატვირთულ საავტომობილო კოლონაზე განხორციელდა.

წარმატებით ჩაიარა

აღნიშნულ ინფორმაციას აშშ-შიც ადასტურებენ. ვაშინგტონის განცხადებით, ავიაციერში არა ცენტრის შენობაზე, არამედ იარაღის გადამტანი მანქანების კოლონაზე განხორციელდა.

შეგახსენებთ, რომ ისრაელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სირიულ ქიმიური იარაღი „ბოევიკების“ ხელში აღმოჩნდებოდა, იერუსალიმს სამხედრო ძალის გამოყენება მოუწევდა.

ისრაელის მხარეს ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებია. როგორც „ბი-ბი-სი“ წერს, ჯერ ვერ ხერხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება. ასევე, არ გაუკეთებიათ ოფიციალური კომენტარი ლიბანის სამხედრო და უსაფრთხოების სამსახურებს.

ირანის ხელისუფლებამ კი უკვე განაცხადა, რომ ისრაელის მხრიდან სირიაზე ნებისმიერ თავდასხმას საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმად მიიღებდა. **მოამზადა გერა მამულაშვილმა**

TV პროგრამა

პარასკევი 1 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** „მოამბე„ **10.30** „დილის საუბარი„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ **15.00** დ/ფ „ეგვიპტიდან„ **17.00** დ/ფ **1)** „ნანკის ღრუბლიანი ფარჩა„ **2)** „მფრინავი ასპარასი„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ„სისხლი და ვარდი„ **21.00** ტ/სერ **22.00** „აქცენტები„ **23.30** „წითელი ზონა„ **00.30** მხ/ფ „შეხვედრა ვენერასთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00** დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ **14.00** დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ **16.00** დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ **19.00** ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ **5** სერ. **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „ილგლიანი მოსალ„ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი„ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „გაქცევა – 4„ **9** სერ. **14.45** სერ. „24 – 4„ **15.45** სერ. „დამალული სიმართლე„ **17.40** სერ. „თილისმა„ **18.50** სერ. „სახიფათო ვნება„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** მხ/ფ. „იუმას მატარებელი„ (კ.ბეილი) **00.30** სერ. „ღვინის გზა„ **01.15** მხ/ფ. „ძალების ქვეყანაში„ (ო.დუკაკისი) **02.50** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია„ **11.00** სერ. „იდუმალი ძალი„ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** პროფილი (გ/ჩ) **18.45** სერ. „მგზნებარე გული„ **19.50, 20.05** სერ. „ღირსება და ამგიცია„ **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.35** მხ/ფ „ხარება და გოგია„ **II 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ „მაგდანას ლურჯა„ **13.25** კონცერტი-თბილისური ავტოგრაფი **14.50, 18.20, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დოკ/ფ „სამთავროს დედათა მონასტერი„ **18.10** ტელეზღაპარი **18.25** დებიუტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „ვინ შეაჯაზმაუს ცხენს„ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **22.45** დოკ/ფ „ღირსი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი„ **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ „13 ასურელი მამის ნამოღვაწარი„ **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო **8.05** მულტ/ფ რიო **10.00** მხ/ფ გოგონა და მელაკუდა **12.00** მხ/ფ კეთილი ჯადოქარი **14.00** მულტ/ფ ატლატიდა **2 18.00** მულტ/ფ მძინარე მზეთუნახავი **20.00** მულტ/ფ დისნეი **21.25** მულტ/ფ ოსკარის ოაზისი **22.00** მულტ/ფ რატატუი

მაესტრო

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **19.30, 0.30** თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები„ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.40** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სამგლოვიარო განცხადებები

კახა ჩიგოგიძე

ტკივილიანი სამი თვე გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, კახა... მარადისობაში გადასულმა დიდი სიყვარული და მონატრება დაგვიტოვე. შენს მეგობრებს შენთან ერთად გატარებული ბევრი ლამაზი დღე შემოგვრჩა მოსაგონებლად.

დრო ვერ გვიშუშებს სევდასა და იარას, რომელსაც უშენობა ჰქვია... უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ფაქიზი სული. გვჯერა, რომ სანთლები, რომლებიც შენს სახელზე აინთება, სამუდამოდ დაგიმკვიდრებს სასუფეველს. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა, მარად რომ ანთია ჩვენს გულებში.

შენი კლასელები

შვილები ქეთინო და ბადრი ლეფსაიები, რძალი ეკა კალანდია, სიძე მურთაზ თორდინავა, ნუნუ და კლიმენტი კიკალიშვილები, ინეზა შენგელია-თორდია, შვილიშვილები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები ოჯახებით იუწყებიან

ნელი პოლიკარპეს ასულ შენგელია-ლეფსაიას

გარდაცვალებას.

გამოსვენება: 2 თებერვალს, ვაკის სამების ეკლესიიდან (ჭავჭავაძის გამზირი).

რაჟდენ ქარდავა და ბაქარ ფირცხელაიშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ქეთინო და ბადრი ლეფსაიებს საყვარელი დედის

ნელი შენგელია-ლეფსაიას

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ჭედიას მოგონება

2 თებერვალი შენი დაბადების დღეა. თითქმის ყოველდღიურად გვახსოვხარ. ვერ გაუძლო შენმა გულმა ამდენ განსაცდელს. ყველაზე დიდი ტკივილი შენი შვილის ავადმყოფობა იყო, შემდეგ – აფხაზეთის დატოვება, ამიტომ მოგიწიათ საბერძნეთში წასვლა. მონატრებული იყავი შენიანებზე, და ნარგიზაზე, სიძე რევდიკ ჯალაღონიაზე, ძმა ბოჩიასა და მის ოჯახზე, მეგობრებზე, სამშობლოზე. არ ფიქრობდი იქ სამუდამოდ დარჩენაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე მოხდა. ძალიან გვაკლიხარ.

ტიგრან ყოლბაია, ტრისტან ჯობავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

შვილები ირაკლი, ეკა ასლანიდები ოჯახებით, და დოდო ნადარეიშვილი, რძალი ლიკა ოდილავაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე ნადარეიშვილი

პანაშვიდი: 1, 2 თებერვალს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 3 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: მიცკევიჩის ქ. №27.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან ცენტრის დირექტორის მოადგილის, გოგა გაგნიძის მამის

ზურაბ გაგნიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6602	ევრო — 2,2308
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870	რუსული რუბლი — 0,0553

ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისთვის

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

სერბეთის პრემიერ-მინისტრი სექსუალური წამყვანის უხერხულმა პოზამ დაამუნჯა

სერბეთის პრემიერ-მინისტრი ივიცა დაჩიჩი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გლამურულ ტელეწამყვანს სატელევიზიო შოუში სტუმრობდა, როდესაც უხერხულობისგან ლამის დამუნჯდა. ბალკანეთის პოლიტიკაზე ცხარე დიალოგის დროს ტელეწამყვანმა, რომელსაც მინი-კაბა ეცვა, ფეხი ფეხზე გადაიდო (ზუსტად ისე, როგორც ცნობილ თრილერში – „ძირითადი ინსტინქტი“ შერონ სთოუნის გმირი იქცევა) და პრემიერ-მინისტრს მთელი თავისი „ღირსებები“ დაანახა. დაჩიჩმა საუბარი შეწყვიტა და უხერხულად გაეღიმა.

საქმე ის არის, რომ ეს სკანდალური შოუ პრემიერ-მინისტრს სატელევიზიო ფარულმა კამერამ „შეუსრულებელმა მისიამ“ მოუწყო.

ვიდეო „იუთუბზე“ ორი დღის წინ განთავსდა და უკვე 2 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ნახა.

მომხდარმა ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის და შინაგან საქმეთ სამინისტროს მხრიდან მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია, რომელსაც ასევე დაჩიჩი ხელმძღვანელობს. თავად პრემიერს ამასთან დაკავშირებით ოფიციალური პოზიცია არ გამოუხატავს. ჟურნალისტების ასოციაციამ პროგრამის ავტორები „შუფერებელი და მიუღებელი პროვოკაციისთვის“ გაკიცხა. პროფკავშირის შეფასებით, მსგავსი ქმედებები „პროფესიული ჟურნალისტიკის სტანდარტებს არ შეესაბამება და პორნოგრაფიად შეიძლება შეფასდეს“.

თავის მხრივ, სერბული პოლიციის პროფკავშირმა შსს-ს უსაფრთხოების საკითხების დეპარტამენტის უფროსის, ნებოიში გრუიჩის და სხვა თანამშრომლების პასუხისმგებლობის დადგენა მოითხოვა, რომლებიც პრემიერ-მინისტრის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებენ. პოლიციის პროფკავშირმა „დიდი სირცხვილი“ უწოდა იმ ფაქტს, დეპარტამენტში გუშინ ღამემდე (როდესაც ინტერნეტში სკანდალური ვიდეორგოლი გამოჩნდა) არ იცოდნენ იმის შესახებ, რომ დაჩიჩს უხეშად დასცინეს.

გ. მ.

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 1 თებერვლისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი – ფულს შოულობთ, ნავაჭრი იღბლიანი აღმოჩნდება. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გაქვთ. **ლომი** – შემოთავაზება სარფიანი აღმოჩნდება, ამდენს არ ელოდით. **ქალწული** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **სასწორი** – საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, ხვალ დილით – კიდევ უკეთესს. **ღრიანკალი** – პატარა დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **მშვილდოსანი** – სხვებს ნუ აჰყვებით, თავს უკეთ იგრძნობთ. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრა სასიამოვნოდ დასრულდება, გახარებული ხართ. **მერწყული** – გადაიღალეთ, მაგრამ სამაგიეროდ საქმე გაკეთდა. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველა საქმეს აწესრიგებთ. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის ჭურჭელი ხევსურეთში; 3. ჩიტების საჭერი მახე; 4. მეღვინეობის ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. მდგომარეობა კრივში; 11. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის პატარა მოთხრობა; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 14. ინგლისელი პოლიციელი; 15. მდგომარეობა ჭადრაკში; 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 18. აქლემის ნაშიერი; 19. მუსლიმანთა სამლოცველო.

თარაზულად: 7. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 8. სახელმწიფო კავკასიაში; 9. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 10. სპილენძის შემცველი მწვანე, ხასხასა მინერალი; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 16. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 18. ძაღლების სპეციალისტი; 20. ქიმიური ელემენტი, აირი; 21. ბრაზიანი, კაპასი, ანჩხლი ანუ...; 22. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 22. დედალი ჯიხვი; 24. ფინანსური ოპერაციების ყოველდღიური სარეგისტრაციო საბუღალტრო წიგნი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



პრინცმა ჩარლზმა 33 წლის განმავლობაში პირველად მეტროთი იმგზავრა

უელსის პრინცმა ჩარლზმა და მისმა მეუღლემ კამილამ ერთად იმგზავრეს მეტროში. სადგურ „ფარინგტონიდან“ „კინგ-კროსამდე“ მგზავრობა, ლონდონის მეტროპოლიტენის 150 წლისთავს მიეძღვნა, რომელიც ამ წელს შეერთებულ სამეფოში ფართოდ აღინიშნება, – იუწყება იტარ-ტასი.

სადგურში შესვლისას სამეფო ოჯახის წევრებმა მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობა ეკეთვნით, მეტროს ადმინისტრაციისგან სა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ექსპერტებმა საქართველო გამსვლელთა ჯგუფს მიუახლოვეს

სლოვენიაში ჩასატარებელი ევრობასკეტის ვებგვერდზე დაიწყო რუბრიკა, სადაც ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებების შანსებია შეფასებული. ექსპერტების რჩევით, 24-გუნდიანი რეიტინგის შედგენას ყოველკვირეულად აპირებენ. აქედან გამომდინარე მასში ცვლილებებიც იქნება.

საწყის რეიტინგში საქართველოს ნაკრები მე-14 ადგილზე მოხვდა. რადგან შემდეგ ეტაპზე 12 გუნდი გადის, ექსპერტები თვლიან, რომ საქართველო ამ გუნდების ზღვარზეა.

– ზაზა ფაჩულიას ნბა-ში რეგულარული სათამაშო დრო ეძლევა და თუკი მის გარშემო სხვა წამყვანი მოთამაშეებიც სასურველ ფორმაში შეიკრიბებიან, ამ გუნდს წინსვლის კარგი შანსი აქვს, – წერია ვებგვერდზე.

რეიტინგის სათავეში ევროპის ჩემპიონი, ჩვენი ჯგუფისა და მთლიანად ტურნირის ფავორიტი ესპანეთის ნაკრები იმყოფება. მის გარდა, ჩვენს ეროვნულ გუნდს საფრანგეთი, რუსეთი, სლოვენია, საბერძნეთი, ლიტვა, მონტენეგრო, იტალია, სერბეთი, თურქეთი, ხორვატია, ისრაელი და დიდი ბრიტანეთი უსწრებენ. სამაგიეროდ, ჩვენები უსწრებენ გერმანიას, ბოსნია-ჰერცეგოვინას, ფინეთს, მაკედონიას, პოლონეთს, შვედეთს, ჩეხეთს, უკრაინას, ლატვიასა და ბელგიას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ჯგუფში ესპანეთის გარდა, მეტოქეებად სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი და ჩეხეთი ეყოლება.

მ. ჟ.